გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის - სს „ენერგო–პრო ჯორჯია“-ს შესაბამისობის პროგრამის განსახორციელებლად მიღებული ზომების შესახებ ანგარიში

ავტორი - თეიმურაზ შენგელია

სს „ენერგო–პრო ჯორჯია“-ს

შესაბამისობის ოფიცერი

1. წინასიტყვაობა

- 2021 წლის 09 დეკემბერს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ N52/2 გადაწყვეტილებით დაამტკიცა სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) მიერ მომზადებული *„სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შესაბამისობის პროგრამა ელექტროენერგიის განაწილებაში ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და დისკრიმინაციის პრევენციის უზრუნველყოფის მიზნით“* (შემდგომში „შესაბამისობის პროგრამა“ ან „პროგრამა“) რითიც კომპანიამ იკისრა შიდა დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობაში მოყვანის, პროგრამის თაობაზე თანამშრომლების ინფორმირებულობის, და პროგრამის მოთხოვნების დაცვის ვალდებულება.

- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დამტკიცებული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების (შემდგომში - განცალკევების წესები) მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შესაბამისობის ოფიცერი ამზადებს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ შესაბამისობის პროგრამის განსახორციელებლად მიღებული ზომების შესახებ ანგარიშს და წარუდგენს კომისიას.

- ანგარიშის შედგენისას აშკარა გახდა ის ფაქტი, რომ კომპანია მეტწილად ასრულებს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესებით და შესაბამისობის პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებებს, თუმცა, ამავდროულად, შესაბამისობის ოფიცრის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამობებიც. ქვემოთ წარმოგიდგენთ აღნიშნული შეუსაბამობების დეტალურ განხილვას. ანგარიში შედგენილია 2023 წელს გამოვლენილი შეუსაბამობების თაობაზე.

2. შესაბამისობის ოფიცრის მიერ ჩატარებული კვლევის ზოგადი მიმოხილვა

ზოგადი მონიტორინგისა და წინამდებარე ანგარიშის შედგენის მიზნებისათვის, შესაბამისობის ოფიცერმა განახორციელა შემდეგი სახის ქმედებები:

- შეისწავლა და ანალიზი ჩაუტარა კომპანიის შიდა ნორმატიული დოკუმენტების მოქმედ ბაზას;

- შეისწავლა და ანალიზი ჩაუტარა კომპანიის შიდა პროცესებს და მათ თავსებადობას კომპანიის მიერ შესაბამისობის პროგრამით ნაკისრ

ვალდებულებებთან;

- გამოიკვლია კომპანიის თანამშრომელთა ინფორმირებულობის ხარისხი კომპანიის შესაბამისობის პროგრამით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან მიმართებით;

- გამოითხოვა და შეისწავლა ფოტო, ვიდეო და სხვა ტიპის მასალები, რომლებიც ასახავენ კომპანიის შენობებში/ოფისებში არსებულ სიტუაციას;

- კომპანიის მიერ შესაბამისობის პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საკითხის შემოწმების მიზნით, მოიწვია გარე სპეციალისტები რიგ საკითხებზე კვლევის ჩასატარებლად.

3. შესაბამისობის პროგრამის შესრულების ზოგადი მიმოხილვა

3.1.1. სამართლებრივი განცალკევება

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დამტკიცებული „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „...სამართლებრივი განცალკევება შესაძლებელია განხორციელდეს ერთ-ერთი შემდეგი გზით:

ა) გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ჩამოყალიბდება განცალკევებულ საწარმოდ, რომელიც რჩება ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს შვილობილ საწარმოდ;

ბ) გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ჩამოყალიბდება განცალკევებულ საწარმოდ და გამოეყოფა ყველა ფუნქცია, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება განაწილებას;

გ) დაფუძნდება ჰოლდინგური საწარმო, რომელიც ამავდროულად იქნება როგორც გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის, ისე ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს აქციონერი/პარტნიორი.“

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შემთხვევაში, არჩეულ იქნა ჰოლდინგური სტრუქტურა, სადაც სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ არის სპეციალური და დამოუკიდებელი ენერგეტიკული საწარმო, რომლის აქციების 50.1%-ს ფლობს ენერგო-პრო ა.ს. და

49.9%-ს ფლობს სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“. ამ უკანასკნელის აქციების 100%-ს ასევე ფლობს „ენერგო-პრო ა.ს.“

3.1.2. ფუნქციური განცალკევება

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დამტკიცებული „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ მე-7 და მე-8 მუხლები ადგენენ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის „ფუნქციური დამოუკიდებლობის“ კრიტერიუმებს. განცალკევების წესები სავალდებულო წესით ადგენს ოპერატორის იმ ფუნქციებით აღჭურვას, რაც უკავშირდება გამანაწილებელი ქსელის ოპერირებას, მოვლა-პატრონობასა და განვითარებას, ანიჭებს უფლებას მიიღოს ინდივიდუალური გადაწყვეტილებები გამანაწილებელი ქსელის მშენებლობის და გაუმჯობესების თაობაზე იმგვარად, რომ არ უნდა საჭიროებდეს ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ან მისი სხვა შემადგენელი ნაწილის მიერ წინასწარ ან/და მიღების შემდგომ დადასტურებას და ადგენს მის ექსკლუზიურ პასუხისმგებლობას განაწილებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევაზე.

განცალკევების წესებით ასევე სავალდებულოა, რომ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ფლობდეს გამანაწილებელ ქსელს და განაწილების საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელ აღჭურვილობას და ამ რესურსების გამოყენებასა და მართვაზე მას ქონდეს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების ეფექტური უფლება.

კომპანიის შესაბამისობის პროგრამა თავის მხრივ ადგენს, რომ კომპანია უზრუნველყოფს ელექტროენერგიის განაწილებას ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს სხვა საქმიანობებისგან დამოუკიდებლად და მხოლოდ კომპანიის მართვაზე პასუხისმგებელ პირებს აქვთ უფლება ჩაერიონ კომპანიის მიერ ფუნქციების შესრულებაში.

შესაბამისობის ოფიცრის მიერ შესწავლილ იქნა კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია და სხვა შიდაორგანიზაციული აქტები და დადგინდა, რომ აღნიშნული კუთხით, კომპანიის მიერ სრულდება შესაბამისობის პროგრამით და კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულება. კომპანიის წესდებით მკაფიოდ არის გაწერილი კომპანიის მეწილეების, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს კომპეტენციები და გაკონტროლებულია კომპანიის მეწილეების მხრიდან კომპანიის მიმდინარე საქმიანობაში მომეტებული ჩარევის საკითხიც - მაგალითისათვის გამოდგება წესდების 7.8.14 პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ აქციონერთა კრების კომპეტენციაშია „გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების

ქონების შეძენის, განკარგვის, გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ საწარმოო საქმიანობას, ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ისინი არ ხორციელდება დამტკიცებული ფინანსური გეგმის ფარგლებში ან ეხება განაწილების ქსელის ოპერირებისათვის საჭირო აქტივებს."

ამავდროულად, კომპანიის შიდაორგანიზაციული აქტებისა და სხვა დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიაში არ არებობს კონკრეტული პროცედურა (ან წესი) რომლის მიხედვითაც გაწერილი იქნება ნებისმიერი ტიპის პროექტის ინიცირების (წარმოშობის) საფუძველი და შემდგომი შეთანხმების, ბიუჯეტირების და შესრულების პროცედურა. ეს არ წარმოაგდენს ფუნქციური განცალკევების მოთხოვნის კონკრეტულ დარღვევას, თუმცა მისი არსებობს განამტკიცებს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების ეფექტიან უფლებას. აქედან გამომდინარე, შესაბამისობის ოფიცრის მხრიდან გაიცა რეკომენდაცია აღნიშნული წესის/პროცედურის შექმნაზე, რაზეც **კომპანიის მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა და წინამდებარე ანაგარიშის შედგენის მომენტისათვის, მიმდინარეობს ამ პროცედურის მომზადების სამუშაოები.**

3.1.3. მენეჯმენტი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დამტკიცებული „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების მონაწილეობა ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს კორპორაციულ სტრუქტურებში შემავალი იმ საწარმოების მართვაში, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებელია წარმოების, გადაცემის, მიწოდების ან/და ვაჭრობის ყოველდღიური საქმიანობისთვის. ამასთან, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორმა და მისი აქციების/წილების მფლობელმა საწარმომ უნდა მიიღოს გონივრული ზომები, რათა გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის სამეთვალყურეო და მმართველი საბჭოების წევრების, სულ მცირე, ნახევარი მაინც იყვნენ დამოუკიდებლები.

კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის კვლევით დგინდება, რომ კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც

აირჩევა კომპანიის აქციონერთა საერთო კრების მიერ და შედგება შემდეგი სამი წევრისაგან:

1. თავმჯდომარე/წევრი: ქრისტიან ედვარდ ბლეჩფორდ.
2. თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: პეტრ ტესარი.
3. წევრი: პლამენ სტოიანოვი სტეფანოვი.

სამეთვალყურეო საბჭოს ზემოაღნიშნული 3 წევრიდან, არც ერთი არ ფიგურირებს ჰოლდინგის წევრ კომპანიების დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოებში, შესაბამისად, არ მონაწილეობს ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს კორპორაციულ სტრუქტურებში შემავალი იმ საწარმოების მართვაში, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებელია წარმოების, გადაცემის, მიწოდების ან/და ვაჭრობის ყოველდღიური საქმიანობისთვის. ზემოაღნიშნულიდან გამომიდნარე, დგინდება, რომ კომპანიაში, მენეჯმენტის განცალკევების მიზნებისთვის, დაცულია ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების მიმართ კანონითა და შესაბამისობის პროგრამით დაწესებული შეზღუდვები.

კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის კვლევით დგინდება, რომ კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტს (ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას) ახორციელებს დირექტორთა საბჭო, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. კომპანიის დირექტორთა საბჭო შედგება შემდეგი სამი წევრისაგან:

1. თავმჯდომარე/წევრი: გრიგოლი მამისეიშვილი;
2. დირექტორი/წევრი: ზურაბ სიხარულიძე;
3. დირექტორი/წევრი: პეტრე კაჭკაჭიშვილი.

ისევე, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შემთხვევაში გაირკვა, დირექტორთა საბჭოს ზემოაღნიშნული 3 წვერიდან არც ერთი არ ფიგურირებს ჰოლდინგის წევრ კომპანიების დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოებში, შესაბამისად, არ მონაწილეობს ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს კორპორაციულ სტრუქტურებში შემავალი იმ საწარმოების მართვაში, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებელია წარმოების, გადაცემის, მიწოდების ან/და ვაჭრობის ყოველდღიური საქმიანობისთვის. ზემოაღნიშნულიდან გამომიდნარე, დგინდება, რომ ამ შემთხვევაშიც, კომპანიაში, მენეჯმენტის განცალკევების მიზნებისთვის, დაცულია ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების მიმართ კანონითა და შესაბამისობის პროგრამით დაწესებული შეზღუდვები.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების დამოუკიდებლობისა და განცალკევების საკითხის შესწავლისას, აღმოჩენილ იქნა რიგი შეუსაბამობებისა, რაც დაწვრილებით განხილულია ქვემოთ, შესაბამის თავებში.

3.1.4. იდენტობა

შესაბამისობის პროგრამა, იდენტობის განცალკევების ნაწილში, ადგენს შემდეგს:

- „კომპანიის იდენტობა მიმწოდებლის და გენერაციის კომპანიის იდენტობისაგან არის და იქნება გამიჯნული როგორც ბრენდირების, ასევე აღჭურვილობის და ყველა შესაბამისი ატრიბუტიკის გათვალისწინებით.
- კომპანია აბონენტებთან ურთიერთობს და მათ მომსახურებას განახორციელებს საკუთარი ვებ. გვერდის და ინდივიდუალური ქოლ. ცენტრის მეშვეობით. კომპანიას ექნება საკუთარი ლოგო, ბლანკი და ა.შ.“

ამავდროულად, „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ მე-12 მუხლი ადგენს შემდეგს:

„გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი თავისი კომუნიკაციითა და ბრენდირებით არ უნდა იწვევდეს ბუნდოვანებას ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ან/და მისი სხვა, წარმოების, ვაჭრობის ან/და მიწოდების საქმიანობის განმახორციელებელი შემადგენელი ნაწილის განსხვავებულ იდენტობასთან მიმართებით. ამ მიზნით გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მისი იურიდიული სახელწოდების, ბრენდისა და სავაჭრო ნიშნის განცალკევება, ინდივიდუალურობა, იდენტიფიცირებადობა და ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოსთან ან მის რომელიმე ნაწილთან დაუკავშირებლობა იმგვარად, რომ არ მოხდეს ერთი საწარმოს მიერ მეორე საწარმოს აქციების/წილების შესაძლო ფლობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, ან მომხმარებლის მიერ ორი საწარმოს ერთმანეთში აღრევა;

ბ) დანერგოს ცალკე საკომუნიკაციო პოლიტიკა სისტემით მოსარგებლეებსა და მომხმარებლებთან კომუნიკაციის მიზნით, მათ შორის, შექმნას მომსახურების ცენტრი, აგრეთვე, 24-საათიანი სატელეფონო ცხელი ხაზი (ქოლცენტრი), რომელიც ფუნქციონირებს ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოსა და მისი სხვა შემადგენელი ნაწილებისგან დამოუკიდებლად; და

გ) უზრუნველყოს, რომ არ განხორციელდეს ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოსა და მისი სხვა შემადგენელი ნაწილების, მათ შორის, დაკავშირებული

საწარმოების მიერ გაწეული წარმოების, ვაჭრობის ან/და მიწოდების მომსახურებების რეკლამირება.

2. იმ შემთხვევაში, თუ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისა და ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ოფისები განთავსებულია ერთ შენობაში, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს ოფისების განცალკევებას.“

შესაბამისობის ოფიცრის მიერ, აღნიშნული ვალდებულებების შესრულების შემოწმების მიზნით, განახორციელა შემდეგი ქმედებები:

- გამოიკვლია კომპანიის შიდა-სამართლებრივი დოკუმენტაცია;

- მოიძია კომპანიის შენობების/ოფისების ვიზუალური მხარის ამსახველი ფოტო მასალა;

- მოიძია კომპანიის შენობების/ოფისების გეგმარების დოკუმენტაცია, სადაც მოცემულია ინფორმაცია ოფისების განცალკევების შესახებ;

- მოითხოვა კომპანიის აბონენტებთან სატელეფონო კვლევის ჩატარება, კომპანიის, როგორც გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის, სხვა დაკავშირებული კომპანიებისაგან განცალკევების თაობაზე მათი ცნობიერების დონის დასადგენად.

იქიდან გამომდინარე, რომ, როგორც ზემოთ ჩანს, კომპანიის შესაბამისობის პროგრამაში იდენტობის განცალკევების კუთხით დადგენილი დანაწესი იმეორებს განცალკევების წესებით განსაზღვრული ვალდებულებების მხოლოდ ნაწილს - მაგალითად შესაბამისობის პროგრამაში არ არის მითითებული ცალკე საკომუნიკაციო პროგრამის დანრეგვის ვალდებულებაზე, ან მაგალითად ოფისების განაწილებაზე და ა.შ., პირველ რიგში განიხილება შესაბამისობის პროგრამაში მოცემული ვალდებულებები:

- მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მხრიდან გადაიდგა არაერთი ქმედითი ნაბიჯი იმისათვის, რომ „კომპანიის იდენტობა მიმწოდებლის და გენერაციის კომპანიის იდენტობისაგან იყოს გამიჯნული როგორც ბრენდირების, ასევე აღჭურვილობის და ყველა შესაბამისი ატრიბუტიკის გათვალისწინებით“, აბონენტებთან ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ აბონენტებისათვის, რიგ შემთხვევებში ბუნდოვანია კომპანიის განცალკევების საკითხი და უჭირს ჰოლდინგში შემავალი სხვადასხვა კომპანიებს შორის (განსაკუთრებით მიწოდების, გენერაციის და განაწილების კუთხით) სხვაობის დანახვა:

გამოკითხულთა რაოდენობა - 317 ადამიანი:

კითხვა	კვლევის შედეგები
კითხვა N1: გთხოვთ მიუთითოთ ის კომპანია, რომლის მომხმარებელიც ხართ	7%
კითხვა N2 : გთხოვთ მიუთითოთ ის კომპანია, რომელიც ყოველთვიურად გიგზავნით ელ. ენერგიის ქვითარს	7%
კითხვა N3: სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ახორციელებს შემდეგ საქმიანობას	8%
კითხვა N4: რომელ კომპანიას მიმართავთ, თუ გსურთ ელ. ენერგიის გამანაწილებელ ქსელზე მიერთება?	33%
კითხვა N5: როდესაც ხდება ელ. ენერგიის ავარიული წყვეტა, რომელ კომპანიას მიმართავთ?	42%
კითხვა N6: მოცემული წინადადებებიდან რომელია სწორი? • სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ფლობს გამანაწილებელ ქსელს • სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ფლობს ჰიდრო ელექტრო სადგურებს • სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ არ ფლობს გამანაწილებელ ქსელს და ჰიდრო ელექტრო სადგურებს • მიჭირს პასუხის გაცემა	24%

აღნიშნულის მიზეზების დადგენას ართულებს ის ფაქტი, რომ ერთი შეხედვით, კომპანია მართლაც ასრულებს ბრენდის იდენტობის განცალკევებისთვის კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნების უმრავლესობას, თუმცა შესაბამისი შედეგები არ აღინიშნება. მიუხედავად ამისა, იდენტობის განცალკევების კუთხით შეინიშნება რამდენიმე დარღვევაც, რომლებიც შესაძლოა განვიხილოთ სავარაუდო მიზეზად და რომლებიც, ქვემოთ არის განხილული.

- კომპანია აბონენტებთან რეალურად ურთიერთობს და მათ მომსახურებას განახორციელებს საკუთარი ვებ. გვერდის და ინდივიდუალური ქოლ. ცენტრის მეშვეობით (აღნიშნული ქოლცენტრი, განცალკევების წესების მოთხოვნებისამებრ, ფუნქციონირებს ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოსა და მისი სხვა შემადგენელი ნაწილებისგან დამოუკიდებლად კომპანიას ასევე აქვს საკუთარი ლოგო (რომელიც მიუხედავად არაარსებითი მსგავსებებისა, არსებითად განსხვავებულია სხვა დაკავშირებული კომპანიების ლოგოებისაგან) და საკუთარი ბლანკი“

კომპანიის ოფისები, ძირითად შემთხვევებში, განთავსებულია ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ოფისებთან ერთად ერთ შენობაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, განცალკევების წესების მიხედვით, ასეთ დროს გამანაწილებელი სისტემის

ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს ოფისების განცალკევება. აღნიშნული ვალდებულება შესაძლებელია მოიაზრებოდეს შესრულებულად, თუმცა არსებობს გარკვეული თავისებურებები, კერძოდ:

- ჩოხატაურისა და გორი-ორთაშენის ოფისებში ბუნდოვანია გამანაწილებელი ქსელის ოპერატორისა და მიმწოდებელი კომპანიის ოფისების ბრენდირება და შესაძლოა მოხდეს აღრევა:

  ჩოხატაურის ოფისის ფოტომასალა:

გორი-ორთაშენის ოფისის ფოტომასალა:

- ოფისებში განთავსებული მომსახურების ცენტრების შესასვლელებში ერთმანეთთან ახლოს განთავსებულია სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-სა და სს „ეპ ჯორჯია მიწოდების“ მომსახურების ცენტრის ამსახველი აბრები. მიუხედავად იმისა, რომ თვით მომსახურების ცენტრში შესვლისას, ცალკეა გამოყოფილი ამ ორი კომპანიის „ზონები“, ასეთმა სიახლოვემ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს აბონენტის ცნობიერებაზე და ზემოთ განხილული აბონენტების ცნობიერების დაბალი დონის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზადაც განიხილებოდეს. თვალსაჩინოებისათვის შესაძლოა მოყვანილ იქნას ქუთაისის ოფისის ფოტომასალა:



- გამოთხოვილ გეგმარების დოკუმენტაციაში, რიგ შემთხვევებში არ ჩანს შენობაში სხვადასხვა კომპანიების განცალკევების სქემა.

3.1.5. ფინანსური და ბუღალტრული განცალკევება

კომპანია ასრულებს შესაბამისობის პროგრამის მიხედვით, ფინანსური და ბუღალტრული განცალკევების ნაწილში ნაკისრ ვალდებულებებს, კერძოდ:

- ყოველწლიურად ამზადებს და აქვეყნებს შესაბამის ფინანსურ ანგარიშს;

- აქვს განცალკევებული ანგარიშები არა-ენერგეტიკული საქმიანობის საწარმოებლად;

- დანერგილი აქვს მარეგულირებელი კომისიის მიერ დამტკიცებული ერთიანი საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა - IFS.

3.1.6. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა

კომპანიის შესაბამისობის პროგრამით დგინდება შემდეგი:

- შემუშავდება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის და მისი გამოყენების პოლიტიკა, რის მიხედვითაც გაიწერება მკაფიო ვალდებულებები და დარღვევის შემთხვევაში - შესაბამისი პასუხისმგებლობები;

- უზრუნველყოფს მის ხელთ არსებულ საოპერაციო მონაცემებზე და ინფორმაციაზე შეზღუდულ წვდომას;

- უზრუნველყოფს შენობების, აღჭურვილობის, მოწყობილობების, და ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოებას.

კომპანიაში დანერგილია კომპანიის 05.07.2021-ით დათარიღებული "ინფორმაციის დამუშავების პოლიტიკა", და ამ პოლიტიკის 3.4, 3.5 და 3.6 პუნქტებით, ზემოაღნიშნული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები გაწერილია საკამოდ სიღრმისეულად. ამასთან, აღნიშნულ პოლიტიკასთან ერთად დანერგილია და ფუნქციონირებს სხვა არაერთი პოლიტიკა, რომელიც აღნიშნული მიზნის განხორციელებას ემსახურება (როგორიცაა ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკა, მავნე კოდისაგან დაცვის პოლიტიკა, ტექნიკური უსაფრთხოების პოლიტიკა და ა.შ.).

ზემოთ აღნიშნული პოლიტიკებისა და პროცედურების შესაბამისად, კომპანიაში ხორციელდება მონაცემებზე შეზღუდული დაშვება, მხოლოდ შესაბამისი ავტორიზაციის შემთხვევაში. აღნიშნულს უზრუნველყოფს საინფორმაციო უსაფრთხოების შესაბამისი მექანიზმები და ტექნოლოგიები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების და განცალკევების წესების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, შესაბამისობის ოფიცრის ინიციატივით, კომპანიამ ავტორიზებულ კომპანიას - შპს „იუ ჯი თი“-ს (ს/ნ: 204892964) დაუკვეთა ინფორმაციული სისტემების კვლევის ჩატარება. აღნიშნული კვლევა, წინამდებარე ანგარიშის მომზადების მომენტში, ჯერ კიდევ მიმდინარეობს

და შესაბამისობის ოფიცერი უზრუნველყოფს, კვლევის შედეგად შედგენილი დასკვნა, მომზადებისთანავე წარედგინოს კომისიას.

3.1.7. საერთო მომსახურება

შესაბამისობის პროგრამის თანახმად, ელექტრო ენერგიის ფასზე ზეწოლის შემცირების მიზნით, რესურსების ოპტიმიზაციის და არასაკმარისი ადმინისტრაციული პერსონალის გამო მიზანშეწონილია ხელშეკრულების საფუძველზე მიიღოს სხვადასხვა სახის მომსახურებები სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგისაგან“.

აღნიშნული „მომსახურების ხელშეკრულება“ #273-4/23, 2023 წლის 01 ივლისს გაფორმდა სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-სა და სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ შორის, რომლის მიხედვითაც, კომპანიას მიეწოდება ფინანსური, იურიდიული, რეგულირების (მათ შორის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიასთან ურთიერთობის), ადამიანური რესურსების მართვის, ლოგისტიკის, დოკუმენტბრუნვის, აბონენტებთან ურთიერთობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, შრომის უსაფრთხოების, ქონების მართვის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ბილინგის, გარემოსდაცვითი, შიდა აუდიტის და მთარგმნელობითი მომსახურებები.

ზემოთ აღნიშნული მომსახურების ხელშეკრულების ირგვლივ აღმოჩენილი შეუსაბამობების შესახებ ინფორმაცია დეტალურად მოცემულია ქვემოთ, თუმცა, ამავდროულად არსებობს ერთი შენიშვნა, რომელიც არ კვალიფიცირდება შეუსაბამობად, თუმცა საჭიროებს ყურადღების გამახვილებას, კერძოდ:

სემეკის 2020 წლის 28 დეკემბრის #80/1 გადაწყვეტილება „სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის დამტკიცების შესახებ“, კომპანიას უწესებს გარკვეულ ვადას იმისათვის, რომ შეეძლოს კონკრეტული ტიპის მომსახურების მიღება ჰოლდინგისაგან. ამ გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის მიხედვით, კომპანიას განემარტა, რომ „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს უფლება აქვს, გარდამავალ პერიოდში, 2026 წლის პირველ იანვრამდე, ისარგებლოს ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ან მისი სხვა შემადგენელი ნაწილის მიერ გაწეული იურიდიული, კომისიასთან ურთიერთობისა და ფინანსური სახის მომსახურებით.“

იმის გათვალისწინებითაც, რომ ხელშეკრულება შედგენილია ერთი წლის ვადით და 2024 წლის 01 ივლისის მდგომარეობით მას ვადა გასდის, კომპანიაში არ შეინიშნება

მზაობა იმისათვის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურებები (ფინანსური, იურიდიული და კომისიასთან ურთიერთობის), 2026 წლის 01 იანვრისათვის სრულად ინტეგრირებულ იქნება კომპანიის შიდა სტრუქტურაში.

3.1.8. შესაბამისობის პროგრამის განხორციელება და შესაბამისობის ოფიცერი

კომპანიაში შესაბამისობის ოფიცერი ახორციელებს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, მათ შორის, შესაბამისობის პროგრამის დანერგვასა და მონიტორინგს. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დამტკიცებული „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ მე-18 მუხლის მე-4 მუხლის შესაბამისად, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისობის ოფიცრის წვდომა მისი უფლება-მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო ნებისმიერ მონაცემზე, დოკუმენტსა და ინფორმაციაზე, აგრეთვე, მისი დაშვება შენობა-ნაგებობებში.

ამასთან, ამ დადგენილების მე-18 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, შესაბამისობის ოფიცერს უფლება აქვს, დაესწროს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების ყველა შეხვედრას, ხოლო თავის მხრივ ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან, გონივრულ დროით ადრე შეატყობინონ შესაბამისობის ოფიცერს დაგეგმილი შეხვედრების შესახებ და უზრუნველყონ იგი ყველა აუცილებელი დოკუმენტითა და ინფორმაციით.

აღნიშნული საკითხების შემთხვევაში არ ყოფილა დარღვევა და კომპანიამ უზრუნველყო შესაბამისობის ოფიცრისათვის მიეწოდებინა ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია და დაეშვა შესაბამის შეხვედრებზე. კომპანიამ ასევე უზრუნველყო შესაბამისობის ოფიცრის მიერ მოთხოვნილი კვლევების ჩატარება.

4. გამოვლენილი შეუსაბამობები და შესაბამისობის ოფიცრის რეკომენდაციები

შესაბამისობის ოფიცრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა ტიპის შეუსაბამობები, რომლებიც აფერხებენ შესაბამისობის პროგრამის სრულად განხორციელებას და რომელთა შესახებ ინფორმირებულ იქნა კომპანიის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები და შესაბამისი კომპეტენციის მქონე

სხვა თანამშრომლები. აღნიშნული შეუსაბამობები შესაძლებელია დაიყოს შემდეგ კატეგორიებად: მენეჯმენტის დამოუკიდებლობა; მენეჯმენტის განცალკევება; კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა; საერთო მომსახურება; იდენტობის განცალკევება.

ამ თავში მოცემულია ზემოაღნიშნულს შეუსაბამობების დეტალური ანგარიში, რომელიც მოიცავს შეუსაბამობების იდენტიფიცირებას, შესაბამისობის ოფიცრის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას და ასევე აღნიშნულ რეკომენდაციაზე კომპანიის მიერ განხორციელებულ რეაგირებას/პასუხს.

4.1. მენეჯმენტის დამოუკიდებლობა

4.1.1. **ანაზღაურების პოლიტიკა** - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დამტკიცებული „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას კომპანიის ანაზღაურების პოლიტიკის დამტკიცება და გარანტიები, რომ ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების ანაზღაურება ან/და ნებისმიერი მატერიალური წახალისება არ იქნება დამოკიდებული ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ან/და მისი სხვა შემადგენელი ნაწილის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ არის დაცული, კერძოდ კომპანიის წესდების 7.8.11 მუხლი ადგენს, რომ „სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურება ან/და ნებისმიერი მატერიალური წახალისება არ იქნება დამოკიდებული ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ან/და მისი სხვა შემადგენელი ნაწილის ფინანსურ მაჩვენებლებზე.“ იგივე შინაარსის დათქმა გვხვდება წესდების 8.12.17 მუხლში, რომლის მიხედვითაც, „დირექტორთა საბჭოს წევრების ანაზღაურება ან/და ნებისმიერი მატერიალური წახალისება არ იქნება დამოკიდებული ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ან/და მისი სხვა შემადგენელი ნაწილის ფინანსურ მაჩვენებლებზე“.

წესდებაში მოყვანილ ამ ორ მუხლში გაწერილია კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოების - სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოების წევრების ანაზღაურების ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს (ჰოლდინგის) ან/და მისი სხვა შემადგენელი ნაწილის ფინანსურ მაჩვენებლებზე დამოუკიდებლობის პირობა,

თუმცა არსად არის გაწერილი შესაბამისი მექანიზმები იმისათვის რომ ეს პირობა ეფექტურად შესრულდეს.

ზემოაღნიშნული შეუსაბამობა ასევე „მძიმდება“ იმ მოცემულობის ფონზე, რომ კომპანიის შიდა ნორმატიული აქტების ბაზაში არ იძებნება „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტით დადგენილი კომპანიის ანაზღაურების პოლიტიკა. ამ მუხლის ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ გამანაწილებელი ქსელის ოპერატორ კომპანიას, მისი და მისი ხელმძღვანელობაზე და მართვაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, აკისრია პირდაპირი ვალდებულება შექმნას/გააჩნდეს შესაბამისი ანაზღაურების პოლიტიკა, სადაც პირდაპირ იქნება გაწერილი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრების ანაზღაურების გაცემის წესები. ასეთი პოლიტიკა არ იძებნება როგორც ცალკე დოკუმენტად, ისე სხვა დოკუმენტის შემადგენელ ნაწილადაც.

შესაბამისობის ოფიცრის რეკომენდაცია - შესაბამისობის ოფიცრის მიერ აღნიშნულ შეუსაბამობასთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, მოხდეს შიდა ნორმატიულ დოკუმენტში (პოლიტიკა იქნება ეს, კომპანიის დებულება თუ სხვა დოკუმენტი) ან ცალკე მდგომ დოკუმენტად, მენეჯმენტის ანაზღაურების პოლიტიკის და განცალკევების წესების 6.2.გ მუხლით დადგენილი დანაწესის შესაბამისი დაცვის ქმედითი მექანიზმების გაწერა.

კომპანიის მიერ შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის განხორციელებული ქმედებები - წინამდებარე ანგარიშის შედგენის მომენტისათვის, კომპანიის მხრიდან არ განხორციელებულა კონკრეტული ქმედებები აღნიშნული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

4.1.2. ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების თანამდებობიდან გათავისუფლების გამჭვირვალე კრიტერიუმები - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დამტკიცებული „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების თანამდებობიდან გათავისუფლების გამჭვირვალე კრიტერიუმების **წინასწარი განსაზღვრა საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტებით/შიდაორგანიზაციული აქტებით** და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის უფლებამოსილი კოლეგიური ორგანოს/პირის მიერ.

შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული მოთხოვნა არის დარღვეული. კომპანიის მიერ მოწოდებულ დოკუმენტების ბაზაში არ იძებნება ისეთი დოკუმენტი, სადაც იქნებოდა გაწერილი ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების თანამდებობიდან გათავისუფლების გამჭვირვალე კრიტერიუმები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ, კომპანიის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ 3.10.3 პუნქტში მითითებაა იმის შესახებ, რომ აღნიშნული კრიტერიუმები დეტალურად განისაზღვრება კომპანიის შესაბამის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით/შიდაორგანიზაციული აქტებით, რაც ფაქტობრივად იმეორებს განცალკევების წესების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის მოთხოვნას.

კომპანიის მხრიდან ამ შეუსაბამობასთან დაკავშირებით გამოთქმული პოზიცია არის შემდეგი - *შრომით ურთიერთობებს - ხელშეკრულების შეწყვეტის ამომწურავ ჩამონათვალს, ითვალისწინებს შრომის კოდექსი - "გამჭვირვალობა" გათვალისწინებადია დისციპლინარული პასუხისმგებლობის სახით ხელშეკრულების შეწყვეტის პროცესში და შესაბამისად, შრომის შინაგანაწესის მოწესრიგების ფარგლებშია და მხარესთან არსებული შრომითი ხელშეკრულების ნაწილია.* აღნიშნულ პოზიციას არ იზიარებს შესაბამისობის ოფიცერი, ვინაიდან ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების თანამდებობიდან გათავისუფლების გამჭვირვალე კრიტერიუმების წინასწარი განსაზღვრა არის განცალკევების წესების **ცალკე გამოკვეთილი მოთხოვნა**, და ვინაიდან ხელმძღვანელ პირებსა და კომპანიის შორის ურთიერთობას შრომითსამართლებრივს ვერ დავარქმევთ, სათუოა თუ რამდენად შეიძლება გავრცელდეს შრომის შინაგანაწესში მოცემული თანამშრომლების თანამდებობიდან გათავისუფლების კრიტერიუმები კომპანიის ხელმძღვანელ პირებზე და რამდენად შეიძლება ეს კრიტერიუმები იყოს საკმარისი.

შესაბამისობის ოფიცრის რეკომენდაცია - შესაბამისობის ოფიცრის მიერ აღნიშნულ შეუსაბამობასთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, რომ ეს კრიტერიუმები დეტალურად განისაზღვროს კომპანიის შესაბამისი სადამფუძნებლო დოკუმენტაციით/შიდაორგანიზაციული აქტებით, **ან სულ მცირე, გაკეთდეს შესაბამის დოკუმენტში (იქნება ეს წესდება, თუ „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“) მითითება იმის თაობაზე, რომ თუნდაც კომპანიის შრომის შინაგანაწესში მოცემული თანამშრომლების თანამდებობიდან გათავისუფლების კრიტერიუმები, ასევე განიხილება, როგორც კომპანიის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების თანამდებობიდან გათავისუფლების კრიტერიუმებადაც, რათა მოხდეს ყოველგვარი გაუგებრობის გამორიცხვა.**

კომპანიის მიერ შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის განხორციელებული ქმედებები - წინამდებარე ანგარიშის შედგენის მომენტისათვის, კომპანიის მხრიდან არ

განხორციელებულა კონკრეტული ქმედებები აღნიშნული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

4.1.3. მართვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დამტკიცებული „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მართვაზე პასუხისმგებელი პირების ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ან მისი შემადგენელი ნაწილის სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანის შემთხვევაში ამ პირების მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა.

წესდების 10.2 პუნქტი ფაქტობრივად იმეორებს ზემოთ მოცემული მუხლის დათქმას და ამატებს, რომ აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა განიხილება როგორც კომპანიის მიმართ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა. თუმცა, წესდება მხოლოდ ამით შემოიფარგლება და არ ადგენს შესაბამის მექანიზმებს ამ დათქმის უზრუნველსაყოფად. მსგავსი მექანიზმები არც კომპანიის მიერ მოწოდებულ სხვა დოკუმენტაციაში იკვეთება. ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან აღნიშნული შეიძლება შეფასდეს როგორც განცალკევების წესების 6.2.ე ქვეპუნქტის მოთხოვნასთან მხოლოდ ფორმალური შესაბამისობის მცდელობა, ვინაიდან არ არის სახეზე კომპანიის მხრიდან ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმები.

შესაბამისობის ოფიცრის რეკომენდაცია - შესაბამისობის ოფიცრის მიერ აღნიშნულ შეუსაბამობასთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, რომ დამატებით გაიწეროს არსებითი მექანიზმები ზემოთ განსაზღვრული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.

კომპანიის მიერ შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის განხორციელებული ქმედებები - წინამდებარე ანგარიშის შედგენის მომენტისათვის, კომპანიის მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა, რომ შესაბამისობის ოფიცერთან ერთობლივი კონსულტაციის მეშვეობით გაიწეროს აღნიშნული ქმედითი მექანიზმები.

4.1.4. **ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების მიერ ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ან/და მისი სხვა შემადგენელი ნაწილის აქციების/წილების საკუთრების უფლებით ფლობის აკრძალვა** - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დამტკიცებული „გამანაწილებელი სისტემის

ოპერატორის განცალკევების წესების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების მიერ ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ან/და მისი სხვა შემადგენელი ნაწილის აქციების/წილების საკუთრების უფლებით ფლობის აკრძალვა საწარმოს შიდაორგანიზაციული აქტებით.

შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სახეზეა დარღვევა - კომპანიის მიერ უკვე მოწოდებულ დოკუმენტაციაში, არ იძებნება ისეთი, რომელიც ეხმიანება განცალკევებულობის წესების 6.2.ვ. ქვეპუნქტის მიხედვით მოცემულ ვალდებულებას. შესაბამისად, არ არის სახეზე შიდა-ორგანიზაციული აქტი, სადაც მოცემული იქნება ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების მიერ ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ან/და მისი სხვა შემადგენელი ნაწილის აქციების/წილების საკუთრების უფლებით ფლობის აკრძალვა. აღნიშნული აკრძალვის არ არსებობა პირდაპირ არღვევს განცალკევებულობის წესების 6.2.ვ. ქვეპუნქტის მოთხოვნას.

შესაბამისობის ოფიცრის რეკომენდაცია - შესაბამისობის ოფიცრის მიერ აღნიშნულ შეუსაბამობასთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, რომ შიდა ორგანიზაციულ დოკუმენტში გაიწეროს ასეთი აკრძალვა და ასევე გაიწეროს არსებითი მექანიზმები მისი შესრულების უზრუნველსაყოფად.

კომპანიის მიერ შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის განხორციელებული ქმედებები - წინამდებარე ანგარიშის შედგენის მომენტისათვის, კომპანიის მხრიდან არ განხორციელებულა კონკრეტული ქმედებები აღნიშნული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

4.2. **მენეჯმენტის განცალკევება**

4.2.1. **ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების „თვითშემოწმების“ ვალდებულება** - კომპანიის წესდების 8.4 პუნქტი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ავალდებულებს „ჩამოშორდნენ პოზიციას თუ მათთვის ცნობილი გახდება განცალკევების წესებთან მათი პოზიციაზე ყოფნის შეუსაბამობა.“ აღნიშნული ტიპის დათქმაა ასევე წესდების 9.4.2. პუნქტშიც, რომელიც დირექტორთა საბჭოს წევრებს ავალდებულებს ჩამოშორდნენ პოზიციას თუ მათთვის ცნობილი გახდება განცალკევების წესებთან მათი პოზიციაზე ყოფნის შეუსაბამობა.

მოცემული დათქმა ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან შეიძლება შეფასდეს როგორც ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების განცალკევებულობის და დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთი შეხედვით არასაკმარისი/არაქმედითი მექანიზმი და განცალკევების წესების მე-5 მუხლით მენეჯმენტის განცალკევების ზოგად მოთხოვნასთან მხოლოდ ფორმალური შესაბამისობის დაწესების მცდელობა.

შესაბამისობის ოფიცრის რეკომენდაცია - მიუხედავად იმისა, რომ ეს არ წარმოადგენს განცალკევების წესების მოთხოვნების პირდაპირ დარღვევას, შესაბამისობის ოფიცრის მიერ აღნიშნულ შეუსაბამობასთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, რომ დამატებით გაიწეროს არსებითი მექანიზმები წესდების ზემოთ მოცემული პუნქტებით განსაზღვრული დათქმის უზრუნველსაყოფად.

კომპანიის მიერ შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის განხორციელებული ქმედებები - წინამდებარე ანგარიშის შედგენის მომენტისათვის, კომპანიის მხრიდან არ განხორციელებულა კონკრეტული ქმედებები აღნიშნული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, თუმცა გამოითქვა მზადყოფნა, რომ შესაბამისობის ოფიცერთან ერთობლივი კონსულტაციის მეშვეობით გაიწეროს აღნიშნული პუნქტების განსახორციელებელი ქმედითი მექანიზმები.

4.2.2. **ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების კანდიდატურის „სკრინინგი“** - წესდების 7.8.9. მუხლი ავალდებულებს აქციონერთა კრებას რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევისას შეამოწმონ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატის შესაბამისობა განცალკევებულობის წესებთან მიმართებით. მსგავსი ვალდებულებაა ასევე გაწერილი წესდების 8.10.7.1. მუხლში, რომელიც ავალდებულებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს რომ დირექტორთა საბჭოს წევრების არჩევისას შეამოწმონ დირექტორთა საბჭოს წევრობის კანდიდატის შესაბამისობა განცალკევებულობის წესებთან მიმართებით.

ზემოაღნიშნული კანდიდატურის შემოწმების ვალდებულება მოცემულია განყენებულად, და არ იძებნება შესაბამისი მექანიზმი, კრიტერიუმი რის მიხედვითაც იხელმძღვანელებენ სამეთვალყურეო საბჭო და აქციონერთა კრება კანდიდატების შემოწმების პროცესში.

შესაბამისობის ოფიცრის რეკომენდაცია - მიუხედავად იმისა, რომ წინა შემთხვევის მსგავსად, ეს არ წარმოადგენს განცალკევების წესების მოთხოვნების პირდაპირ დარღვევას, შესაბამისობის ოფიცრის მიერ აღნიშნულ შეუსაბამობასთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, რომ დამატებით გაიწეროს არსებითი მექანიზმები და

ჩამოყალიბდეს შესაბამისი კრიტერიუმები, რათა უზრუნველყოფილ იქნას წესდების ზემოთ მოცემული პუნქტებით განსაზღვრული დათქმების შესრულება.

კომპანიის მიერ შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის განხორციელებული ქმედებები - წინამდებარე ანგარიშის შედგენის მომენტისათვის, კომპანიის მხრიდან არ განხორციელებულა კონკრეტული ქმედებები აღნიშნული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, თუმცა გამოითქვა მზადყოფნა, რომ შესაბამისობის ოფიცერთან ერთობლივი კონსულტაციის მეშვეობით გაიწეროს აღნიშნული პუნქტების განსახორციელებელი ქმედითი მექანიზმები.

4.3. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა

4.3.1. **კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა საერთო მომსახურების გაწევისას** - კომპანია, 2023 წლის 01 ივლისის #273-4/23 „მომსახურების ხელშეკრულების“ საფუძველზე, სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგისგან“, ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოსაგან, იღებს საერთო მომსახურებების ჩამონათვალს, რომელიც ასევე მოიცავს ბუღალტრულ მომსახურებასაც. აღნიშნული ხელშეკრულების მე-9 მუხლში მოცემულია კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ზოგადი ვალდებულება, კერძოდ, შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას რომ მესამე პირებს (მათ შორის ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოს სხვა ნაწილებსაც) არ გაუმჟღავნებს ხელშეკრულების საფუძველზე და ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ გამოიყენებს ამ ინფორმაციას ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დამტკიცებული „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ მე-9 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, „საბუღალტრო-სააღრიცხვო ფუნქციები/მოვალეობები გამანაწილებელი სისტემის ოპერატორმა და ვერტიკალურად ინტეგრირებულმა საწარმომ ან მისმა სხვა შემადგენელმა ნაწილმა, შესაძლოა, განახორციელონ ან შეისყიდონ საერთო მომსახურებების სახით, იმ პირობით, რომ ამ მომსახურების გაწევისას დაცული იქნება გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.“ ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულებები უნდა იყოს იმ ვალდებულებებზე **არანაკლებ**

მკაცრი, რომელთა დაცვაც, შესაბამისობის პროგრამის თანახმად, ეკისრებათ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ დასაქმებულ პირებს.

შესაბამისობის პროგრამა, თავის მხრივ ადგენს, რომ შემუშავდება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის და მისი გამოყენების პოლიტიკა, რის მიხედვითაც გაიწერება მკაფიო ვალდებულებები და დარღვევის შემთხვევაში - შესაბამისი პასუხისმგებლობები. *იმის დაშვებით, რომ აღნიშნული პოლიტიკა არის კომპანიის 05.07.2021-ით დათარიღებული "ინფორმაციის დამუშავების პოლიტიკა" (და სხვა თანმდევი პოლიტიკები),* და ამ პოლიტიკის 3.4, 3.5 და 3.6 პუნქტებით, ზემოაღნიშნული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები გაწერილია საკამოდ სიღრმისეულად, ხელშეკრულებაში მოცემული კონფიდენციალური ინფორმაციის ზოგადი დანაწესი არ აკმაყოფილებს განცალკევების წესების 9.2 და 9.3 პუნქტებით დადგენილ მინიმალურ სტანდარტს. შესაბამისად, საერთო მომსახურების მიღების დროს ირღვევა კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის განცალკევების წესების 9.2 და 9.3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის თაობაზე.

შესაბამისობის ოფიცრის რეკომენდაცია - შესაბამისობის ოფიცრის მიერ აღნიშნულ შეუსაბამობასთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, რომ ხელშეკრულებაში დანართის სახით გაიწეროს შესაბამისი სტანდარტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის და ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში - შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების მექანიზმები.

ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა წინამდებარე ანგარიშში, შესაბამისობის ოფიცრის მიერ გაიცა რეკომენდაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების და განცალკევების წესების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ჩატარდეს ამ სისტემების შემოწმება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

კომპანიის მიერ შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის განხორციელებული ქმედებები - წინამდებარე ანგარიშის შედგენის მომენტისათვის, კომპანიის მხრიდან არ განხორციელებულა კონკრეტული ქმედებები საერთო მომსახურების ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მხრივ. თუმცა, ამავდროულად, ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების და განცალკევების წესების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, კომპანიამ ავტორიზებულ კომპანიას - შპს „იუ ჯი თი“-ს (ს/ნ: 204892964) დაუკვეთა ინფორმაციული სისტემების კვლევის ჩატარება. აღნიშნული კვლევა, წინამდებარე ანგარიშის მომზადების მომენტში, ჯერ კიდევ მიმდინარეობს და შესაბამისობის ოფიცერი უზრუნველყოფს, კვლევის შედეგად შედგენილი დასკვნა, მომზადებისთანავე წარედგინოს კომისიას.

4.4. საერთო მომსახურება

4.4.1. **განაწილებასთან პირდაპირ დაკავშირებული საერთო მომსახურების მიღება** - კომპანია, 2023 წლის 01 ივლისის #273-4/23 „მომსახურების ხელშეკრულების“ საფუძველზე, სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგისგან“, ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოსაგან, იღებს „აბონენტებთან ურთიერთობის უზრუნველყოფის“ მომსახურებას, რომელიც სხვა მომსახურებებთან ერთად, მოიცავს ჰოლდინგის მიერ კომპანიის წარმომადგენლობას კომპანიის აბონენტებთან და მათთან კომპანიის სახელით (წერილობითი) კომუნიკაციის წარმოებას.

„გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტი ადგენს, რომ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორსა და ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოს ან მის სხვა შემადგენელ ნაწილს არ ეკრძალებათ საერთო მომსახურებების ორგანიზება ან შესყიდვა იმ შემთხვევაში, თუ ეს მომსახურებები ორგანიზებული ან შესყიდულია ზოგადი ადმინისტრაციული საჭიროებიდან გამომდინარე (მათ შორის, მომსახურებები რომლებიც უკავშირდება ადამიანური რესურსების დაქირავებას, ბუღალტერიას, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, საოფისე მასალებით მომარაგებას, ლოგისტიკას, მგზავრობისა და კვების უზრუნველყოფას და სხვა), **რაც პირდაპირ არ უკავშირდება განაწილებასთან დაკავშირებულ ძირითად მომსახურებებს**;

ობიექტური დამკვირვებლის თვალში, აბონენტებთან ურთიერთობის უზრუნველყოფის მომსახურება, განსაკუთრებით გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის აბონენტებთან კომუნიკაციის ნაწილში, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა გაგებულ იქნას იმგვარად, რომ იგი წარმოადგენს ისეთ მომსახურებას, რაც პირდაპირ უკავშირდება განაწილებასთან დაკავშირებულ ძირითადად მომსახურებებს. მიუხედავად იმისა, რომ საერთო მომსახურების ხელშეკრულება ამ ნაწილში აკეთებს დათქმას, რომ „წარმომადგენლობისას არ მოხდება ბრენდირების აღრევა და დაცული იქნება განცალკევების მოთხოვნები“, ეს მომსახურება მაინც ბადებს ეჭვს, რომ არ განეკუთვნება განცალკევების წესების“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტით დაშვებულ მომსახურების ტიპს. აღნიშნული ასევე გარკვეულწილად ეწინააღმდეგება „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ 12.1.ბ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნას, რაზეც დეტალურად ქვემოთ, „იდენტობის განცალკევების“ თავში შევეხებით.

შესაბამისობის ოფიცრის რეკომენდაცია - შესაბამისობის ოფიცრის მიერ აღნიშნულ შეუსაბამობასთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, რომ გადაიხედოს საერთო მომსახურების ხელშეკრულება ამ ნაწილში და საჭიროების შემთხვევაში, შეტანილ

იქნეს საჭირო ცვლილებები. ამასთან, შესაბამისობის ოფიცრის მიერ ასევე გაიცა რეკომენდაცია, საერთო მომსახურების ხელშეკრულებიდან ამოღებულ იქნას „აბონენტებთან ურთიერთობის უზრუნველყოფის“ მომსახურება და აღნიშნული ფუნქცია თავად შეასრულოს კომპანიამ.

კომპანიის მიერ შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის განხორციელებული ქმედებები - წინამდებარე ანგარიშის შედგენის მომენტისათვის, კომპანიის მხრიდან არ განხორციელებულა კონკრეტული ქმედებები აღნიშნული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

4.4.2. **განცალკევების წესებთან შესაბამისობა საერთო მომსახურების მიღებისას** - როგორც უკვე აღინიშნა, კომპანია, 2023 წლის 01 ივლისის #273-4/23 „მომსახურების ხელშეკრულების“ საფუძველზე, სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგისგან“, ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოსაგან, იღებს სხვადასხვა მომსახურებას.

იმის დასადგენად, სრულდება თუ არა განცალკევების წესების მოთხოვნები აღნიშნული მომსახურების მიღებისას, შესაბამისობის ოფიცრის მიერ, კომპანიის შიდა სამართლებრივ დოკუმენტაციასთან ერთად ასევე შესწავლილ იქნა მომსახურებების გამწევი ჰოლდინგის სტრუქტურული ერთეულების შიდა სამართლებრივი დოკუმენტაციაც. კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სიტუაცია - თანამდებობრივ ინსტრუქციებში ან სხვა შესაძლო რელევანტურ დოკუმენტებში არ არის გაწერილი/აღნიშნული ჰოლდინგის წევრი კომპანიისათვის მომსახურების გაწევის პროცესში განცალკევებულობის მოთხოვნები. ერთადერთი, რაც გვხვდება, არის თვით საერთო მომსახურების ხელშეკრულების 3.3 პუნქტში გაწერილი მოთხოვნა, შემსრულებელმა, მომსახურების გაწევისას შეასრულოს დამკვეთის შესაბამისობის პროგრამით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება. ეს ზოგადი დანაწესი საკმარისი იქნებოდა, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თვით ეს პროგრამაც, საერთო მომსახურების გაწევის ნაწილში, ზოგადი დანაწესით შემოიფარგლება, რომლის მიხედვითაც, „საერთო მომსახურების გაწევა ხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც გარანტირებულია როგორც კონფიდენციალური ინფორმაციის დაცულობა, ისე განაწილების ლიცენზიანტის მიერ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და ა.შ.“. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის კუთხით შეუსაბამობები კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის თავში ხოლო, რაც შეეხება გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების საკითხს, ხელშეკრულებაში ამაზე კონკრეტული დათქმა არ გვხვდება და ისევ ვუბრუნდებით 3.3. პუნქტში მოცემულ ზოგად დათქმას.

სახეზეა ჩაკეტილი წრე, სადაც გვხვდება რამდენიმე დოკუმენტში მოცემული და გაწერილი ზოგადი ვალდებულებები, ერთმანეთზე შესაბამისი გადამისამართებებით, თუმცა, საერთო მომსახურების მიღებისას განცალკევების წესებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების უზრუნველმყოფელი ქმედითი მექანიზმები არსად არ არის გაწერილი. ქვემოთ მოცემულია ამ ტიპის დარღვევების ჩამონათვალი და მცირე განხილვა:

- ბილინგის მომსახურების გაწევა - ჰოლდინგის შიდა სამართლებრივი დოკუმენტი, „ბილინგის მომსახურების ძირითადი წესი“ #EPGH RU2023020 ითვალისწინებს ბილინგის დეპარტამენტის ფუნქციონირების და ენერგო პრო ჯორჯიასათვის (და ასევე მიწოდებისათვის) ბილინგის მომსახურების გაწევის წესებს, თუმცა ბუნდოვანია მომსახურების გაწევის პროცესში კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის საკითხი. ასევე ბუნდოვანია გამანაწილებელი კომპანიის იდენტობის დაცვის კუთხით არის თუ არა რაიმე სახის მექანიზმები გაწერილი, რომელიც თუნდაც თანამშრომლებისათვის, შიდა მოხმარების მიზნით და ცნობიერების ასამაღლებლად მაინც იქნებოდა გამოსადეგი;

- „მარეგულირებელ ორგანოსთან ურთიერთობის სფეროში მომსახურების გაწევის წესი“ (ჰოლდინგის) #EPGH RU2023004 არ ითვალისწინებს განცალკევებულობის წესების მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვის მექანიზმებს;

- „დამკვეთ(ებ)ის ცენტრალურ საწყობებში და დამკვეთებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირების ტერიტორიებზე მოწყობილ დროებით საწყობებში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღების და გაცემის წესი (ჰოლდინგის) # EPGH RU2023019 ასევე არ ითვალისწინებს განცალკევებულობის წესების მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვის მექანიზმებს;

„სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ მართვის ინტეგრირებული სისტემის სახელმძღვანელო (ხარისხის მართვა - ISO 9001:2015; შრომის უსაფრთხოების მართვა ISO 45001:2018; გარემოს დაცვის მართვა - ISO 14001:2015 (ჰოლდინგის სახელმძღვანელო)/სხვა მმართველობითი დოკუმენტაცია # EPGH HB2023003 წარმოადგენს ზოგადი ხასიათის დოკუმენტს, რომელიც აღწერს ჰოლდინგის ხარისხის მართვის, შრომის უსაფრთხოების მართვის და გარემოს დაცვის მართვის სისტემებს და განსაზღვრავს მათ „საბაზისო, პრინციპულ დებულებებს“. დოკუმენტო

საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც იგი კარგად ასახავს საერთო მომსახურების გაწევის პირობებში განცალკევების წესების მოთხოვნების შესრულების და დაცვის ზოგად ტენდეციას - ეს პოლიტიკა ასევე აკეთებს გადამისამართებას უფრო სპეციფიურ დოკუმენტებზე (მაგალითად კონკრეტული მიმართულების ინსტრუქციაზე, წესზე, პოლიტიკაზე და ა.შ). განცალკევების კუთხით საუბარია მხოლოდ ორგანიზაციის კონტექსტში, თუმცა მხოლოდ ზოგადი მითითებაა გაკეთებული განცალკევებაზე და მის დაცვაზე. ეს არ იქნებოდა პრობლემა, რომ არა ის ფაქტი, რომ ის სპეციალიზებული დოკუმენტები, რომლებზეც ეს სახელმძღვანელო აკეთებს მითითებას, ასევე ზოგადად ეხებიან განცალკევებულობის საკითხს და არც ერთგან არ გვხვდება კონკრეტული მექანიზმები განცალკევების დაცვის კუთხით.

შესაბამისობის ოფიცრის რეკომენდაცია - შესაბამისობის ოფიცრის მიერ აღნიშნულ შეუსაბამობასთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, კომპლექსურად მოხდეს ამ და სხვა დოკუმენტებში საერთო მომსახურების გაწევის შემთხვევებში განცალკევების მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხის გადახედვა და მოცემულ დოკუმენტებში შეძლებისდაგვარად გაიწეროს შესაბამისი ქმედითი მექანიზმები იმის უზრუნველსაყოფად, რომ საერთო მომსახურების მიღებისას შესრულდეს განცალკევების წესებით დადგენილი მოთხოვნები.

კომპანიის მიერ შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის განხორციელებული ქმედებები - წინამდებარე ანგარიშის შედგენის მომენტისათვის, კომპანიამ გამოთქვა მზადყოფნა, შესაბამისობის ოფიცერთან ერთობლივი კონსულტაციის მეშვეობით, აღნიშნული მექანიზმების დასანერგად.

4.4.3. **კომპანიის შიდა სტრუქტურების საქმიანობის მარეგულირებელ აქტებში აღმოჩენილი შეუსაბამობები** - კომპანიის შიდა დოკუმენტაციის კვლევისას აღმოჩენილი იქნა რამდენიმე ერთმანეთის მსგავსი შეუსაბამობა. კომპანიის მოქმედ შიდა სამართლებრივი აქტებში, რომლითაც რეგულირებულია გარკვეული სტრუქტურების და მისი თანამშრომლების საქმიანობის წესი, მოყვანილია ისეთი სტრუქტურები/სტრუქტურის თანამშრომლები, რომლებიც არ არსებობენ ან არ უნდა არსებობდნენ, ვინაიდან აღნიშნულ ფუნქცია-მოვალეობები, ამ ეტაპზე, საერთო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ნაკისრი აქვთ ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს - ჰოლდინგის სტრუქტურულ ერთეულებს და მათ თანამშრომლებს. ქვემოთ წარმოგიდგენთ ამ ტიპის შეუსაბამობების დეტალურ განხილვას:

- ენერგო-პრო ჯორჯიას ბიზნეს უწყვეტლობის პოლიტიკა EPG P2023003 - პოლიტიკა სამუშაო ჯგუფში ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების,

ადამიანური რესურსების, და იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლებს და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს. ეს პირები საერთო მომსახურების ხელშეკრულებით რეალურად არიან ჰოლდინგის თანამშრომლები შესაბამისად, საჭიროა განცალკევების მოთხოვნების შესაბამისობის დაცვის მექანიზმების გაწერა და ამ პირების სტატუსების დაზუსტება თვით ამ პოლიტიკაში;

- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა EPG GU2022003 - პოლიტიკა ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის პოზიციის ცნებას. ამ დროს, საერთო მომსახურების ხელშეკრულებით, „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს კომპანიას. ამ დროს, კომპანიას მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, არ ყავს საკუთარი ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი. განცალკევებულობის კუთხით ხარვეზია ამ პოლიტიკაში, რადგან პოლიტიკაში ეს არ არის მითითებული. უფრო მეტიც, პოლიტიკის 3.4.2.2 პუნქტის მიხედვით, მენეჯერი ისეა მოხსენიებული, როგორც კომპანიის თანამშრომელი: „ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი და დამხმარე თანამშრომლები ინიშნებიან იუმს-ის და შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტების ცოდნის, ტრენინგისა და სამუშაო გამოცდილების საფუძველზე.“;

- ინფორმაციული უსაფრთხოების სამეთვალყურეო საბჭოს დებულება EPG GU2022005 - მოცემულია ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის პოზიცია - ისევე როგორც ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემთხვევაში, აქაც არის იგივე შენიშვნა - ხარვეზია განცალკევებულობის მხრივ საერთო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მისაღებ მომსახურებასთან მიმართებაში;

- მედია საშუალებების დაცვის წესი EPG RU2023017 - წესის 1.6.1 პუნქტში სამიზნე აუდიტორიად მოხსენიებულია IT პერსონალი, ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური. იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს კომპანიას და კომპანიას არ ყავს საკუთარი IT პერსონალი და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური, განცალკევებულობის კუთხით ხარვეზია საერთო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მისაღებ მომსახურებასთან მიმართებაში;

- კრიპტოგრაფიის სტანდარტი EPG RU2023019 - წესის 1.4.1 პუნქტში სამიზნე აუდიტორიად მოხსენიებულია IT პერსონალი, ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური. იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს კომპანიას და კომპანიას არ ყავს საკუთარი IT პერსონალი და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური, განცალკევებულობის კუთხით ხარვეზია საერთო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მისაღებ მომსახურებასთან მიმართებაში;

- ინციდენტების მართვის პროცედურა EPG RU2023020 - პროცედურა მიუთითებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერზე, როგორც პროცედურის „მფლობელს“ (ასევე ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტსაც). იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს კომპანიას და კომპანიას არ ყავს აღნიშნული თანამშრომლები, განცალკევებულობის კუთხით ხარვეზია საერთო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მისაღებ მომსახურებასთან მიმართებაში;

- ქსელური ეკრანის მართვის პროცედურა EPG RU2023021 - პროცედურა მიუთითებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერზე, როგორც პროცედურის „მფლობელს“. იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს კომპანიას და კომპანიას არ ყავს საკუთარი ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი, განცალკევებულობის კუთხით ხარვეზია საერთო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მისაღებ მომსახურებასთან მიმართებაში;

- სარეზერვო ასლების მართვის წესი EPG RU2023022 - წესი მიუთითებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერზე, როგორც პროცედურის „მფლობელს“ (ასევე ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტს და „ტექნიკურ პერსონალსაც“). იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს კომპანიას და კომპანიას არ ყავს საკუთარი ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური, განცალკევებულობის კუთხით ხარვეზია საერთო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მისაღებ მომსახურებასთან მიმართებაში;

- აღურიცხავად მოხმარებული ელენერგიის დარიცხვის და აღრიცხული ელენერგიის რაოდენობის კორექტირების წესი EPG RU2023004 - წესი ითვალისწინებს ისეთ პოზიციას, როგორიცაა „რეგიონული ბილინგის მენეჯერი“. იმის გათვალისწინებით, რომ ბილინგის მომსახურებას ჰოლდინგი უწევს კომპანიას და ამ უკანასკნელს არ ყავს საკუთარი რეგიონული ბილინგის მენეჯერი, განცალკევებულობის კუთხით ხარვეზია საერთო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბილინგის მომსახურებასთან მიმართებაში;

- ტექნიკური უსაფრთხოების პოლიტიკა EPG P2023001 - პოლიტიკა ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის პოზიციას როგორც პოლიტიკის „მფლობელს“ (პოლიტიკა ასევე უთითებს „ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურზეც). იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს კომპანიას და კომპანიას არ ყავს საკუთარი ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური, განცალკევებულობის კუთხით ხარვეზია საერთო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მისაღებ მომსახურებასთან მიმართებაში;

- მავნე კოდისაგან დაცვის პოლიტიკა EPG P2023002 - პოლიტიკა ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის პოზიციას როგორც პოლიტიკის „მფლობელს“ (პოლიტიკა ასევე უთითებს „ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურზე“ და IT დეპარტამენტზე). იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს კომპანიას და კომპანიას არ აქვს ჩამოთვლილი სამსახურები/დეპარტამენტები, განცალკევებულობის კუთხით ხარვეზია საერთო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მისაღებ მომსახურებასთან მიმართებაში;

- ფიზიკური უსაფრთხოების მართის პოლიტიკა EPG P2023004 - პოლიტიკა ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის პოზიციას როგორც პოლიტიკის „მფლობელს“ (ასევე გათვალისწინებულია უსაფრთხოების სამსახური და ინფორმაციის დამუშავების ცენტრი/ცენტრის მენეჯერი). იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს კომპანიას და კომპანიას არ აქვს ჩამოთვლილი სამსახურები/დეპარტამენტები, განცალკევებულობის კუთხით

ხარვეზია საერთო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მისაღებ მომსახურებასთან მიმართებაში;

შესაბამისობის ოფიცრის რეკომენდაცია - შესაბამისობის ოფიცრის მიერ აღნიშნულ შეუსაბამობებთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, საჭიროებისამებრ დაკორექტდეს აღნიშნული დოკუმენტები და გაიწეროს განცალკევების მოთხოვნის შესაბამისობის დაცვის მექანიზმები.

კომპანიის მიერ შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის განხორციელებული ქმედებები - წინამდებარე ანგარიშის შედგენის მომენტისათვის, კომპანიამ მზადყოფნა გამოთქვა აღნიშნული ხარვეზების ჩასასწორებლად.

4.5. **იდენტობის განცალკევება**

4.5.1. ცალკე საკომუნიკაციო პოლიტიკა სისტემით მოსარგებლეებსა და მომხმარებლებთან კომუნიკაციის მიზნით - „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ 12.1.ბ პუნქტი ავალდებულებს გამანაწილებელი სიტემის ოპერატორს რომ დანერგოს ცალკე საკომუნიკაციო პოლიტიკა სისტემით მოსარგებლეებსა და მომხმარებლებთან კომუნიკაციის მიზნით, მათ შორის, შექმნას მომსახურების ცენტრი, აგრეთვე, 24-საათიანი სატელეფონო ცხელი ხაზი (ქოლცენტრი), რომელიც ფუნქციონირებს ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოსა და მისი სხვა შემადგენელი ნაწილებისგან დამოუკიდებლად.

როგორც უკვე „საერთო მომსახურებების“ თავში აღინიშნა, კომპანია, 2023 წლის 01 ივლისის #273-4/23 „მომსახურების ხელშეკრულების“ საფუძველზე, სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგისაგან“, ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოსაგან, იღებს „აბონენტებთან ურთიერთობის უზრუნველყოფის“ მომსახურებას, რომელიც სხვა მომსახურებებთან ერთად, მოიცავს ჰოლდინგის მიერ კომპანიის წარმომადგენლობას კომპანიის აბონენტებთან და მათთან კომპანიის სახელით (წერილობითი) კომუნიკაციის წარმოებას. იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ - „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ 12.1.ბ პუნქტით განსაზღვრული „მომსახურების ცენტრი“, რომელიც მოიცავს საერთო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ აღნიშნულ აბონენტების მომსახურებას, კომპანიას უნდა გააჩნდეს დამოუკიდებლად, სახეზეა ამ პუნქტის მოთხოვნების დარღვევა. ის ფაქტი, რომ კომპანიას გააჩნია ცალკე მდგომი „ქოლცენტრი“, ამ შემთხვევაში უბრალოდ ვერ ჩაითვლება საკმარისად.

„გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ 12.1.ბ პუნქტის მოთხოვნები კომპანიის მიერ ასევე არ სრულდება ცალკე საკომუნიკაციო პოლიტიკის დანერგვის ნაწილში. ასეთი პოლიტიკა კომპანიის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ იძებნება. ამასთან, ასეთი პოლიტიკის არსებობის შემთხვევაშიც, საჭირო იქნებოდა მისი მოთხოვნებისადმი ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოსაგან „აბონენტებთან ურთიერთობის უზრუნველყოფის“ მომსახურების დაქვემდებარება, რაც თავის მხრივ, უკვე აღნიშნული მიზეზების გამო, წარმოადგენს სირთულეს.

შესაბამისობის ოფიცრის რეკომენდაცია - შესაბამისობის ოფიცრის მიერ აღნიშნულ შეუსაბამობებთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, რომ მოხდეს ცალკე საკომუნიკაციო პოლიტიკის შექმნა და დანერგვა. ასევე გაიცა რეკომენდაცია, შეიქმნას შესაბამისი მომსახურების ცენტრი და მასთან მიმართებაში გადაიხედოს საერთო მომსახურების ხელშეკრულება „აბონენტებთან ურთიერთობის უზრუნველყოფის“ ნაწილში.

კომპანიის მიერ შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის განხორციელებული ქმედებები - წინამდებარე ანგარიშის შედგენის მომენტისათვის, კომპანიის მხრიდან არ განხორციელებულა კონკრეტული ქმედებები აღნიშნული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

4.5.2. ენერგო-პრო ჯორჯიას პრეტენზიების (საჩივრების) მართვის წესი EPG RU2023007 - აღნიშნული დოკუმენტის ანალიზისას აღმოჩენილი იქნა კომპანიის იდენტობის განცალკევების მოთხოვნასთან შეუსაბამობა, კერძოდ: აბონენტებთან ურთიერთობის დეპარტამენტი ამ დოკუმენტში მოცემულია როგორც კომპანიის სტრუქტურული ერთეული, მაშინ როცა, საერთო მომსახურების ხელშეკრულებით კომპანია ამ მომსახურებას იღებს ჰოლდინგისგან. შესაბამისად, დაშვებულია აღრევა, რას საჭიროებს დაკონკრეტებას.

შესაბამისობის ოფიცრის რეკომენდაცია - შესაბამისობის ოფიცრის მიერ აღნიშნულ შეუსაბამობებთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, რომ ამ დოკუმენტში მოხდეს საერთო მომსახურების ხელშეკრულებით მისაღები მომსახურებების აშკარა გამიჯვნა კომპანიის სტრუქტურული ერთეულებისაგან, რათა არ მოხდეს აღრევა.

კომპანიის მიერ შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის განხორციელებული ქმედებები - წინამდებარე ანგარიშის შედგენის მომენტისათვის, კომპანიამ მზადყოფნა გამოთქვა აღნიშნული ხარვეზის ჩასასწორებლად.

5. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორსა და ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოს შორის არსებული ფინანსური ურთიერთობები

„გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ მე-18 მუხლის მეორე პუნქტის ე) ქვეპუნქტის შესაბამისად, შესაბამისობის ოფიცერი უზრუნველყოფს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორსა და ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოს ან მის სხვა ნაწილს შორის ნებისმიერი კომერციული ან/და ფინანსური ურთიერთობის შესახებ კომისიისთვის შეტყობინებას.

ქვემოთ წარმოგიდგენთ აღნიშნული ურთიერთობების ამსახველ ზოგად მიმოხილვას:

კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - დედა კომპანიაზე გაცემული ჰქონდა 33 მილიონი ლარის ექვივალნეტი **სესხი**, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული მოცულობა გაიზარდა 197 მილიონ ლარამდე

ასევე კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - დედა კომპანიაზე ჰქონდა გაცემული **ავანსები** 12 მილიონი ლარსი ექვივალენტი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ავანსი გაიზარდა 31 მილიონ ლარამდე

შედეგად ENERGO-PRO A.S. -ზე კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამურად გაცემული აქვს 228 მილიონი ლარის შესაბამისი მოცულობა.

6. დასკვნა

წინამდებარე ანგარიშის შედგენისას, ნათელი გახდა ის ფაქტი, რომ მიუხედავად აღმოჩენილი შეუსაბამობებისა/დარღვევებისა, კომპანია და მის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირები არსებით და მნიშნელოვან ძალისხმევას ეწევიან იმისათვის, რომ შესრულდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დამტკიცებული „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესებით“ და შესაბამისობის პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებები - კომპანიის მხრიდან განხორციელდა არაერთი ქმედება, რათა შესრულებულიყო აღნიშნული ვალდებულებები.

ამასთან, წინამდებარე ანგარიშში იკვეთება რიგი საკითხები, რომლებზეც კომპანიას ჯერ კიდევ არ გაუკეთებია შესაბამისი რეაგირება და აუცილებელია, რომ მოხდეს კიდევ უფრო მეტი ძალისხმევის გაწევა კომპანიის თითოეული თანამშრომლისაგან, რომ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში აღმოიფხვრას ხარვეზები.

წინამდებარე ანგარიშს, დანართი #1-ის სახით თან ერთვის შესაბამისობის ოფიცრის მიერ აღმოჩნილი შეუსაბამობების და ამ შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად გაწეული რეკომენდაციების ჩამონათვალი, რომლითაც კომპანია ხელმძღვანელობს/იხელმძღვანელებს შეუსაბამობების გამოსასწორებლად საჭირო ქმედებების/ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

გამანაწილებელი სისტემის ოპერტორის - სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შესაბამისობის პროგრამის განსახორციელებლად მიღებული ზომების შესახებ შედგენილი წინამდებარე ანგარიში წარედგინება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დასამტკიცებლად.

თეიმურაზ შენგელია

_____

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს შესაბამისობის ოფიცერი

01.07.2024

დანართები:

- *შესაბამისობის ოფიცრის რეკომენდაციები*

#	დოკუმენტი	იდენტიფიცირებული შეუსაბამობები / რისკები	კატეგორია	პოტენციური გავლენა	რეკომენდაცია
1	წესდება/სხვა შიდასამართლებრივი აქტები	მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ არის გაწერილი მენეჯმენტის ანაზღაურების პოლიტიკა. (განცალკევების წესების 6.2.გ მუხლით დადგენილი). წესდების მუხლი 7.8.11 ადგენს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურება ან/და ნებისმიერი მატერიალური წახალისება არ იქნება დამოკიდებული ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ან/და მისი სხვა შემადგენელი ნაწილის ფინანსურ მაჩვენებლებზე.	მენეჯმენტის დამოუკიდებლობა	კითხვის ქვეშ დგება მენეჯმენტის დამოუკიდებლობის საკითხი, ვინაიდან არ არსებობს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის დადგენილი ანაზღაურების გაცემის კონკრეტული პოლიტიკა.	რეკომენდირებულია მოხდეს შიდასამართლებრივ დოკუმენტში (პოლიტიკა იქნება ეს, კომპანიის დებულება თუ სხვა დოკუმენტი) მენეჯმენტის ანაზღაურების პოლიტიკის და განცალკევების წესების 6.2.გ მუხლით დადგენილი დანაწესის შესაბამისი დაცვის ქმედითი მექანიზმების გაწერა.

2	წესდება/სხვა შიდასამართლებრივი აქტები	მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ არის გაწერილი მენეჯმენტის ანაზღაურების პოლიტიკა. (განცალკევების წესების 6.2.გ მუხლით დადგენილი). წესდების მუხლი 8.12.17 ადგენს, რომ დირექტორთა საბჭოს წევრების ანაზღაურება ან/და ნებისმიერი მატერიალური წახალისება არ იქნება დამოკიდებული ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ან/და მისი სხვა შემადგენელი ნაწილის ფინანსურ მაჩვენებლებზე.	მენეჯმენტის დამოუკიდებლობა	კითხვის ქვეშ დგება მენეჯმენტის დამოუკიდებლობის საკითხი, ვინაიდან არ არსებობს დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის დადგენილი ანაზღაურების გაცემის კონკრეტული პოლიტიკა.	რეკომენდირებულია მოხდეს შიდასამართლებრივ დოკუმენტში (პოლიტიკა იქნება ეს, კომპანიის დებულება თუ სხვა დოკუმენტი) მენეჯმენტის ანაზღაურების პოლიტიკის და განცალკევების წესების 6.2.გ მუხლით დადგენილი დანაწესის შესაბამისი დაცვის ქმედითი მექანიზმების გაწერა.
3	წესდება/სხვა შიდასამართლებრივი აქტები	წესდებაში მოცემულია დირექტორთა საბჭოს, განცალკევებულობის და დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთი შეხედვით არასაკმარისი/არაქმედითი მექანიზმი - წესდების 9.4.2. პუნქტი - დირექტორთა საბჭოს წევრებს ავალდებულებს ჩამოშორდნენ პოზიციას თუ მათთვის ცნობილი გახდება განცალკევების წესებთან მათი პოზიციაზე ყოფნის შეუსაბამობა.	მენეჯმენტის დამოუკიდებლობა/განცალკევება	მოცემული დათქმა ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან შეიძლება შეფასდეს როგორც განცალკევების წესების მე-5 მუხლით მენეჯმენტის განცალკევების ზიგად მოთხოვნასთან მხოლოდ ფორმალური შესაბამისობის დაწესების მცდელობა.	რეკომენდირებულია დამატებით გაიწეროს არსებითი მექანიზმები წესდების 9.4.2 პუნქტით განსაზღვრული დათქმების უზრუნველსაყოფად.
4	წესდება/სხვა შიდასამართლებრივი აქტები	წესდებაში მოცემულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების განცალკევებულობის და დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთი შეხედვით არასაკმარისი/არაქმედითი მექანიზმი - წესდების 8.4 პუნქტი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ავალდებულებს ჩამოშორდნენ პოზიციას თუ მათთვის ცნობილი გახდება განცალკევების წესებთან მათი პოზიციაზე ყოფნის შეუსაბამობა. (რროგორც ეს წესდების 9.4.2. პუნქტშია გაწერილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან მიმართებაში)	მენეჯმენტის დამოუკიდებლობა/განცალკევება	მოცემული დათქმა ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან შეიძლება შეფასდეს როგორც განცალკევების წესების მე-5 მუხლით მენეჯმენტის განცალკევების ზიგად მოთხოვნასთან მხოლოდ ფორმალური შესაბამისობის დაწესების მცდელობა.	რეკომენდირებულია დამატებით გაიწეროს არსებითი მექანიზმები წესდების 8.4. პუნქტით განსაზღვრული დათქმის უზრუნველსაყოფად.
5	წესდება/სხვა შიდასამართლებრივი აქტები	წესდების 8.10.7.1. მუხლი ავალდებულებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს რომ დირექტორთა საბჭოს წევრების არჩევისას შეამოწმონ დირექტორთა საბჭოს წევრობის კანდიდატის შესაბამისობა განცალკევებულობის წესებთან მიმართებით. თუმცა, გაურკვეველია სადმე ამის თაობაზე არის თუ არა მოცემული შესაბამისი მექანიზმი რის მიხედვითაც	მენეჯმენტის დამოუკიდებლობა/განცალკევება	მოცემული დათქმა ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან შეიძლება შეფასდეს როგორც განცალკევების წესების მე-5 მუხლით მენეჯმენტის განცალკევების ზიგად მოთხოვნასთან მხოლოდ ფორმალური შესაბამისობის დაწესების მცდელობა.	რეკომენდირებულია დამატებით გაიწეროს არსებითი მექანიზმები წესდების 8.10.7.1 პუნქტით განსაზღვრული დათქმის უზრუნველსაყოფად.

		იხელმძღვანელებს სამეთვალყურეო საბჭო.			
6	წესდება/სხვა შიდასამართლებრივი აქტები	წესდების 7.8.9. მუხლი ავალდებულებს აქციონერთა კრებას რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევისას შეამოწმონ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატის შესაბამისობა განცალკევებულობის წესებთან მიმართებით. თუმცა, გაურკვეველია, ისევე როგორც დირექტორთა საბჭოს წევრობის კანდიდატურის არჩევის შემთხვევაში, სადმე ამის თაობაზე არის თუ არა მოცემული შესაბამისი მექანიზმი რის მიხედვითაც იხელმძღვანელებს აქციონერთა კრება.	მენეჯმენტის დამოუკიდებლობა/განცალკევება	მოცემული დათქმა ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან შეიძლება შეფასდეს როგორც განცალკევების წესების მე-5 მუხლით მენეჯმენტის განცალკევების ზიგად მოთხოვნასთან მხოლოდ ფორმალური შესაბამისობის დაწესების მცდელობა.	რეკომენდირებულია დამატებით გაიწეროს არსებითი მექანიზმები წესდების 7.8.9 პუნქტით განსაზღვრული დათქმის უზრუნველსაყოფად.
7	წესდება/ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა(**EPGH P2024001; EPG P2024001**/სხვა შიდასამართლებრივი აქტები	ხელთ არსებულ დოკუმენტაციაში არ არის გაწერილი ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების თანამდებობიდან გათავისუფლების გამჭვირვალე კრიტერიუმები.ამასთან, კომპანიის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში“ მითითებაა იმის შესახებ, რომ ეს კრიტერიუმები დეტალურად განისაზღვრება კომპანიის შესაბამის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით/შიდაორგანიზაციული აქტებით.	მენეჯმენტის დამოუკიდებლობა	ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების თანამდებობიდან გათავისუფლების გამჭვირვალე კრიტერიუმების არ არსებობა პირდაპირ წინააღმდეგობაშია განცალკევების წესების 6.2.დ ქვეპუნქტის დათქმასთან.	რეკომენდირებულია შემუშავდეს და გაიწეროს აღნიშნული კრიტერიუმები კომპანიის შესაბამის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში/შიდაორგანიზაციულ აქტებში, როგორც ეს კომპანიის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაშია" მითითებული. სულ მცირე, გაკეთდეს შესაბამის დოკუმენტში (იქნება ეს წესდება, თუ „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“) მითითება იმის თაობაზე, რომ თუნდაც კომპანიის შრომის შინაგანაწესში მოცემული თანამშრომლების თანამდებობიდან გათავისუფლების კრიტერიუმები, ასევე განიხილება, როგორც კომპანიის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების თანამდებობიდან გათავისუფლების კრიტერიუმებადაც, რათა მოხდეს ყოველგვარი გაუგებრობის გამორიცხვა.

8	წესდება//სხვა შიდასამართლებრივი აქტები	წესდება, განცალკევებულობის წესების 6.2.ე. პუნქტის შესაბამისად ადგენს, რომ მართვაზე პასუხისმგებელი პირების ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ან მისი შემადგენელი ნაწილის სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანის შემთხვევაში, ამ პირების მიერ უნდა მოხდეს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა, თუმცა მხოლოდ ამით შემოიფარგლება და არ ადგენს შესაბამის მექანიზმებს ამ დათქმის უზრუნველსაყოფად.	მენეჯმენტის დამოუკიდებლობა/კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა	მოცემული დათქმა ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან შეიძლება შეფასდეს როგორც განცალკევების წესების 6.2.ე ქვეპუნქტის მოთხოვნასთან ფორმალური შესაბამისობის მცდელობა.	რეკომენდირებულია გაიწეროს აღნიშნულ შემთხვევაში კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ქმედითი მექანიზმები, როგორიცაა მაგალითად მენეჯმენტის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება კონფიდენციალური ინფორმაცის დარღვევის შემთხვევაში.
9	ყველა დოკუმენტი	კომპანიის მიერ უკვე მოწოდებულ დოკუმენტაციაში, არ იძებნება ისეთი, რომელიც ეხმიანება განცალკევებულობის წესების 6.2.ვ. ქვეპუნქტის მიხედვით მოცემულ ვალდებულებას. შესაბამისად, არ გვაქვს შიდა-ორგანიზაციული აქტი სადაც მოცემული იქნება ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების მიერ ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ან/და მისი სხვა შემადგენელი ნაწილის აქციების/წილების საკუთრების უფლებით ფლობის აკრძალვა.	მენეჯმენტის დამოუკიდებლობა	აღნიშნული აკრძალვის არ არსებობა პირდაპირ წინააღმდეგობაშია განცალკევებულობის წესების 6.2.ვ. ქვეპუნქტის მოთხოვნასთან.	რეკომენდირებულია ასეთი აკრძალვის გაწერა ნებისმიერ შესაბამის შიდასამართლებრივ აქტში.
10	შიდასამართლებრივი დოკუმენტაცია	კომპანიის შიდაორგანიზაციული აქტებისა და სხვა დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიაში არ არებობს კონკრეტული პროცედურა (ან წესი) რომლის მიხედვითაც გაწერილი იქნება ნებისმიერი ტიპის პროექტის ინიცირების (წარმოშობის) საფუძველი და შემდგომი შეთანხმების, ბიუჯეტირების და შესრულების პროცედურა.	გადაწყვეტილების მიღებ ის ეფექტიანი უფლება	ეს არ წარმოაგდენს ფუნქციური განცალკევების მოთხოვნის კონკრეტულ დარღვევას, თუმცა მისი არსებობს განამტკიცებს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების ეფექტიან უფლებას.	რეკომენდირებულია, აღნიშნული წესის/პროცედურის შექმნა, სადაც გაიწერება კონკრეტული პროცედურა (ან წესი) რომლის მიხედვითაც გაწერილი იქნება ნებისმიერი ტიპის პროექტის ინიცირების (წარმოშობის) საფუძველი და შემდგომი ვიზირების, ბიუჯეტირების და შესრულების პროცედურა.

1 1	საერთო მომსახურების ხელშკერულება # 273-4/23	კომპანიას საერთო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე იღებს რიგ მომსახურებებს (მათ შორის ბუღალტრულს). აღნიშნულ ხელშეკრულებაში (მუხლი მოცემულია კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ზოგადი დათქმა. ამასთან, განცალკევების წესების 9.3 (და ბუღალტრული მოსმახურების მიღების შემთხვევაში, 9.2.) პუნქტის თანახმად, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულებები უნდა იყოს იმ ვალდებულებებზე არანაკლებ მკაცრი, რომელთა დაცვაც, შესაბამისობის პროგრამის თანახმად, ეკისრებათ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ დასაქმებულ პირებს. შესაბამისობის პროგრამა თავის მხრივ ადგენს, რომ შემუშავდება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის და მისი გამოყენების პოლიტიკა, რის მიხედვითაც გაიწერება მკაფიო ვალდებულებები და დარღვევის შემთხვევაში - შესაბამისი პასუხისმგებლობები. *იმის დაშვებით, რომ აღნიშნული პოლიტიკა არის კომპანიის 05.07.2021-ით დათარიღებული "ინფორმაციის დამუშავების პოლიტიკა"*, და ამ პოლიტიკის 3.4 და 3.6 პუნქტებით ზემოაღნიშნული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები გაწერილია დაკმაოდ სიღრმისეულად, ხელშეკრულებაში მოცემული კონფიდენციალური ინფორმაციის ზოგადი დანაწესი არ აკმაყოფილებს განცალკევების წესების 9.2 და 9.3 პუნქტით დადგენილ მინიმალურ სტანდარტს.	საერთო მომსახურება/კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა	ირღვევა საერთო მომსახურების მიღების დროს კონფიდენციალური ინფრომაციის დამუშავებისა და დაცვის განცალკევების წესების 9.2 და 9.3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მოთხოვნის თაობაზე.	სასურველია საერთო მომსახურების ხელშეკრულებაში დანართის სახით გაიწეროს შესაბამისი სტანდარტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის და ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში - შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკსირების მექანიზმები. ასევე გაიცა რეკომენდაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების და განცალკევების წესების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ჩატარდეს ამ სისტემების შემოწმება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

1 2	საერთო მომსახურების ხელშკერულება # 273-4/24	სააბონენტო მომსახურების გაწევა საერთო მომსახურების ხელშკეურლებით არის განცალკევების წესების 9.1.ა ქვეპუნტით დადგენილი მოთხოვნის (პირდაპირ არ უნდა უკავშირდებოდეს განაწილებასთან დაკავშირებულ ძირითად მომსახურებებს) დარღვევა. ამასთან. განცალკევების წესების 12.1.ბ პუნქტი ავალდებულებს ოპერატორს რომ დანერგოს ცალკე საკომუნიკაციო პოლიტიკა სისტემით მოსარგებლეებსა და მომხმარებლებთან კომუნიკაციის მიზნით, მათ შორის, შექმნას მომსახურების ცენტრი, აგრეთვე, 24-საათიანი სატელეფონო ცხელი ხაზი (ქოლცენტრი), რომელიც ფუნქციონირებს ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოსა და მისი სხვა შემადგენელი ნაწილებისგან დამოუკიდებლად. აღნიშნული პოლიტიკა და მოსმახურების ცალკე ცენტრი არ არსებობს. სახეზეა მხოლოდ ჰოლდინგის აბონენტთა მომსახურების მომსახურება.	საერთო მომსახურება	პირდაპირ ირღვევა განცალკევების წესების 12.1.ბ პუნქტის მოხოვნა. ამასთან, სათუოა წესების 9.1.ა პუქნტთან მიმართებაში შესაბამისობაც.	რეკომენდირებულია, რომ დაინერგოს ცალკე საკომუნიკაციო პოლიტიკა სისტემით მოსარგებლეებსა და მომხმარებლებთან კომუნიკაციის მიზნით. ასევე, რეკომენდირებულია, რომ საერთო მომსახურების ხელშკეურლებით აღარ განხორციელდეს კომპანიის აბონენტების მომსახურება.

13	საერთო მომსახურების ხელშკერულება # 273-4/25; შესაბამისობის პროგრამა, სხვა დოკუემნტები	მომსახურებების გამწევი ჰოლდინგის სტრუქტურული ერთეულების თანამდებობრივ ინსტრუქციებში ან სხვა შესაძლო რელევანტურ დოკუმენტებში არ არის გაწერილი/აღნიშნული ჰოლდინგის წევრი კომპანიისათვის მომსახურების გაწევის პროცესში განცალკევებულობის მოთხოვნები. ერთადერთი, რაც იძებნება, არის თვით ხელშეკრულების 3.3 პუნქტში გაწერილი მოთხოვნა, შემსრულებელმა, მომსახურების გაწევისას შეასრულოს დამკვეთის შესაბამისობის პროგრამით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება. ეს ზოგადი დანაწესი საკმარისი იქნებოდა, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თვით ეს პროგრამაც, საერთო მომსახურების გაწევის ნაწილში, ზოგადი დანაწესით შემოიფარგლება, რომლის მიხედვითაც, „საერთო მომსახურების გაწევა ხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც გარანტირებულია როგორც კონფიდენციალური ინფორმაციის დაცულობა, ისე განაწილების ლიცენზიანტის მიერ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და ა.შ. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის კუთხით შეუსაბამობები განხილულია ზემოთ, ხოლო, რაც შეეხება გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების საკითხს, ხელშეკრულებაში ამაზე კონკრეტული დათქმა არ გვხვდება და ისევ ვუბრუნდებით 3.3. პუნქტში მოცემულ ზოგად დათქმას.	საერთო მომსახურება	ფაქტობრივად გვხვდება ჩაკეტილი წრე, სადაც გვხვდება რამდენიმე დოკუმენტში მოცემული და გაწერილი ზოგადი ვალდებულებები, შესაბამისი გადამისამართებებით, თუმცა, კონკრეტული დაცვის მექანიზმები არსად არ გვხვდება.	რეკომენდირებულია შესაბამისი მექანიზმების გაწერა აღნიშნულ დოკუმენტებში.

14	საერთო მომსახურების ხელშკერულება # 273-4/25; ბილინგის მომსახურების ძირითადი წესი **EPGH RU2023020**	გაწერილია ბილინგის დეპარტამენტის ფუნქციონირების და ენერგო პრო ჯორჯიასათვის (და ასევე მიწოდებისათვის) ბილინგის მომსახურების გაწევის წესები, თუმცა ბუნდოვანია მომსახურების გაწევის პროცესში კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის საკითხი. ასევე ბუნდოვანია გამანაწილებელი კომპანიის იდენტობის დაცვის კუთხით არის თუ არა რაიმე სახის დაცვის მექანიზმი.	საერთო მომსახურება, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა, იდენტობის განცალკევება	არ ჩანს გამოკვეთილი დაცვის მექანიზმები კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისა და იდენტობის განცალკევების კუთხით (თუნდაც თანამშრომლებისათვის, შიდა მოხმარების მიზნით).	რეკომენდირებულია კომპლექსურად მოხდეს ამ და სხვა დოკუმენტებში საერთო მომსახურების გაწევის შემთხვევებში განცალკევების მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხის გადახედვა და მოცემულ დოკუმენტებში შეძლებისდაგვარად გაიწეროს შესაბამისი ქმედითი მექანიზმები იმის უზრუნველსაყოფად, რომ საერთო მომსახურების მიღებისას შესრულდეს განცალკევების წესებით დადგენილი მოთხოვნები.
15	ენერგო-პრო ჯორჯიას პრეტენზიების (საჩივრების) მართვის წესი **EPG RU2023007**	აბონენტებთან ურთიერთობის დეპარტამენტი ამ დოკუმენტში მოცემულია როგორც თითქოსდა ეპ ჯორჯიას სტრუქტურული ერთეული, მაშინ როცა, საერთო მომსახურების ხელშეკრულებით კომპანია ამ სერვისს იღებს ჰოლდინგისგან. შესაბამისად განცალკევებულობის კუთხით ამ წესში არ არის შესაბამისი მექანიზმები გაწერილი.	იდენტობის განცალკევება, საერთო მომსახურება	სასურველია ამ დოკუმენტში მოხდეს აშკარა გამოჯვნა საერთო მომსახურეის ხელშეკრულებით მისაღები მომსახურებების ეპ ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულებისაგან, რათა არ მოხდეს აღრევა.	სასურველია ამ დოკუმენტში მოხდეს აშკარა გამოჯვნა საერთო მომსახურეების ხელშეკრულებით მისაღები მომსახურებების ეპ ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულებისაგან, რათა არ მოხდეს აღრევა.
16	ბიზნეს უწყვეტლობის პოლიტიკა **EPG P2023003**	პოლიტიკა სამუშაო ჯგუფში ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების, ადამიანური რესურსების, და იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლებს და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს. ეს პირები საერთო მომსახურების ხელშეკრულებით რეალურად არიან ჰოლდინგის თანამშრომლები და განცალკევებულობის მოთხოვნების შესაბამისობის დაცვის მექანიზმები არ არის გაწერილი თვით პოლიტიკაში.	საერთო მომსახურება	შესაძლებელია მოხდეს აღრევა განცალკევებულობის კუთხით.	სასურველია გაიწეროს ამ დოკუმენტში განცალკევების მოთხოვნის შესაბამისობის დაცვის მექანიზმები.

17	მარეგულირებელ ორგანოსთან ურთიერთობის სფეროში მომსახურების გაწევის წესი (ჰოლდინგი) **EPGH RU2023004**	არ არის განცალკევებულობის მოთხოვნების შესაბამისობის დაცვის მექანიზმები გაწერილი.	საერთო მომსახურება	შესაძლებელია სახეზე გვქონდეს დარღვევა განცალკევების წესების მოთხოვნების დაცვის კუთხით	გასაწერია განცალკევების მოთხოვნების შესაბამისობის დაცვის მექანიზმები. სასურველია, თვით საერთო მომსახურების ხელშეკურლებაში გაიწეროს დეტალურად შესაბამისი მომსახურებების დანართებში ცალკე პუნქტ(ებ)ად.
18	დამკვეთ(ებ)ის ცენტრალურ საწყობებში და დამკვეთებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირების ტერიტორიებზე მოწყობილ დროებით საწყობებში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღების და გაცემის წესი (ჰოლდინგი) **EPGH RU2023019**	არ არის განცალკევებულობის მოთხოვნების შესაბამისობის დაცვის მექანიზმები გაწერილი.	საერთო მომსახურება	შესაძლებელია სახეზე გვქონდეს დარღვევა განცალკევების წესების მოთხოვნების დაცვის კუთხით	გასაწერია განცალკევების მოთხოვნების შესაბამისობის დაცვის მექანიზმები. სასურველია, თვით საერთო მომსახურების ხელშეკურლებაში გაიწეროს დეტალურად შესაბამისი მომსახურებების დანართებში ცალკე პუნქტ(ებ)ად.
19	სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ მართვის ინტეგრირებული სისტემის სახელმძღვანელო (ხარისხის მართვა - ISO 9001:2015; შრომის უსაფრთხოების მართვა ISO 45001:2018; გარემოს დაცვის მართვა - ISO 14001:2015 (ჰოლდინგის სახელმძღვანელო)/სხვა მმართველობითი დოკუმენტაცია **EPGH HB2023003**	ზოგადი ხასიათის დოკუმენტი, რომელიც აღწერს ჰოლდინგის ხარისხის მართვის, შრომის უსაფრთხოების მართვის და გარემოს დაცვის მართვის სისტემებს და განსაზღვრავს მათ „საბაზისო, პრინციპულ დებულებებს“. ასევე აკეთებს გადამისამართებას უფრო სპეციფიურ დოკუმენტებზე (მაგალითად კონკრეტული მიმართულების ინსტრუქციაზე, წესზე, პოლიტიკაზე და ა.შ). განცალკევების კუთხით საუბარია ორგანიზაციის კონტექსტში, თუმცა მხოლოდ ზოგადი მითითებაა გაკეთებული განცალკევებულობაზე. ეს არ იქნებოდა პრობლემა, რომ არა ის ფაქტი, რომ ის სპეციალიზებული დოკუმენტები, რომლებზეც ეს სახელმძღვანელო აკეთებს მითითებას, ასევე ზოგადად ეხებიან განცალკევებულობის საკითხს და არ განსაზღვრავენ კონკრეტულ მექანიზმებს განცალკევებულობის	საერთო მომსახურება	შესაძლებელია სახეზე გვქონდეს დარღვევა განცალკევების წესების მოთხოვნების დაცვის კუთხით როგორც ამ, ისე სხვა სპეციფიურ დოკუმენტაციაში, რომლებიც თავის მხრივ არეგულირებს საერთო მომსახურების ხელშეკურლებით გაწერილი მიმართულებების საკითხებს.	კომპლექსურად არის გადასახედი და გასაწერი ამ და სხვა დოკუმენტაციებში საერთო მომსახურების გაწევის შემთხვევებში განცალკევების მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი. სასურველია, თვით საერთო მომსახურების ხელშეკურლებაში გაიწეროს დეტალურად შესაბამისი მომსახურებების დანართებში ცალკე პუნქტ(ებ)ად.

		დაცვის კუთხით.			
20	ვადაგადაცილებული დავალიანების პრობლემატურ კატეგორიაში გადატანის შესახებ წესი **EPG RU2023013**	წესის 3.1.1 პუნქტში განსაზღვრულია ვადაგადაცილებული ვალების პრობლემატურ ვალად აღიარების კომისიაში შემავალი წევრები, რომელთა შორის რამდენიმე, საერთო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, რეალურად არიან ჰოლდინგის თანამშრომლები. ამასთან, ამ წესში არ არის განცალკევებულობის მოთხოვნების შესაბამისობის დაცვის მექანიზმები გაწერილი. განცალკევებულობის კუთხით პრობლემატურია ასევე ამ წესის 3.5 პუნქტი და მისი ქვეპუნქტები - ბილინგის და ფინანსური მომსახურების გამწევი სტრუქტურული ერთეულები პირდაპირ აღასრულებენ კომისიის გადაწყვეტილებას და არსად ჩანს ის ფაქტი, რომ ეს ორი სტრუქტურული ერთეული რეალურად არ არის კომპანიის სტრუქტურული ერთეული	საერთო მომსახურება	სახეზეა შესაძლო დარღვევა განცალკევების წესების მოთხოვნათა დაცვის კუთხით.ბუნდოვანება საერთო მომსახურებების ხელშეკრულებით განზაზღვრული ჰოლდინგის სტრუქტურული ერთეულებისა და თვით ეპ ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულების ურთიერთმიმართება.	გადასახედი და გასაწერია საერთო მომსახურების გაწევის შემთხვევებში განცალკევების მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი.

21	ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა **EPG GU2022003**	პოლიტიკა ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის პოზიციის ცნებას. ამ დროს, საერთო მომსახურების ხელშეკრულებით, „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს ეპ ჯორჯიას. ცოტა გაუგებარია, ამ შემთხვევაში ეპ ჯორჯიას ყავს საკუთარი ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი და თან ამ მომსახურებას დამატებით იღებს ჰოლდინგისაგან, თუ ეს უკანასკნელი მომსახურება ითვალისწინებს მენეჯერის ფუნქციებსაც? თუ ითვალისწინებს, მაშინ განცალკევებულობის კუთხით ხარვეზია ამ პოლიტიკაში, რადგან არ არის მითითებული. უფრო მეტიც, პოლიტიკის 3.4.2.2 პუნქტის მიხედვით, მენეჯერი ისეა მოხსენიებული, როგორც კომპანიის თანამშრომელი: „ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი და დამხმარე თანამშრომლები ინიშნებიან იუმს-ის და შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტების ცოდნის, ტრენინგისა და სამუშაო გამოცდილების საფუძველზე.“	საერთო მომსახურება	ბუნდოვანია საერთო მომსახურებების ხელშეკრულებით განზაზღვრული ჰოლდინგის სტრუქტურული ერთეულებზე/თანამშრომლებზეა საუბარი აღნიშნულ დოკუმენტში, თუ თვით ეპ ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულებზე/ თანამშრომელზეა. სავარაუდოდ დარღვევაა განცალკევებსი მოთხოვნის კუთხით.	რეკომენდირებულია ხარვეზის აღმოფხვრა და დაზუსტება.
22	ინფორმაციული უსაფრთხოების სამეთვალყურეო საბჭოს დებულება **EPG GU2022005**	მოცემულია ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის პოზიცია - ისევე როგორც ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემთხვევაში, აქაც არის იგივე შენიშვნა - არ ჩანს/ბუნდოვანია განცალკევებულობის საკითხი საერთო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მისაღებ მომსახურებასთან მიმართებაში.	საერთო მომსახურება	ბუნდოვანია საერთო მომსახურებების ხელშეკრულებით განზაზღვრული ჰოლდინგის სტრუქტურული ერთეულებზე/თანამშრომლებზეა საუბარი აღნიშნულ დოკუმენტში, თუ თვით ეპ ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულებზე/ თანამშრომელზეა. სავარაუდოდ დარღვევაა განცალკევების მოთხოვნის კუთხით.	რეკომენდირებულია ხარვეზის აღმოფხვრა და დაზუსტება.

23	მედია საშუალებების დაცვის წესი **EPG RU2023017**	წესის 1.6.1 პუნქტში სამიზნე აუდიტორიად მოხსენიებულია IT პერსონალი, ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური. იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს ეპ ჯორჯიას, ბუნდოვანია განცალკევებულობის საკითხი	საერთო მომსახურება	ბუნდოვანია საერთო მომსახურებების ხელშეკრულებით განზაზღვრული ჰოლდინგის სტრუქტურული ერთეულებზე/თანამშრომლებზეა საუბარი აღნიშნულ დოკუმენტში, თუ თვით ეპ ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულებზე/ თანამშრომელზეა. სავარაუდოდ დარღვევაა განცალკევების მოთხოვნის კუთხით.	რეკომენდირებულია ხარვეზის აღმოფხვრა და დაზუსტება.
24	კრიპტოგრაფიის სტანდარტი **EPG RU2023019**	წესის 1.4.1 პუნქტში სამიზნე აუდიტორიად მოხსენიებულია IT პერსონალი, ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური. იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს ეპ ჯორჯიას, ბუნდოვანია განცალკევებულობის საკითხი.	საერთო მომსახურება	ბუნდოვანია საერთო მომსახურებების ხელშეკრულებით განზაზღვრული ჰოლდინგის სტრუქტურული ერთეულებზე/თანამშრომლებზეა საუბარი აღნიშნულ დოკუმენტში, თუ თვით ეპ ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულებზე/ თანამშრომელზეა. სავარაუდოდ დარღვევაა განცალკევების მოთხოვნის კუთხით.	რეკომენდირებულია ხარვეზის აღმოფხვრა და დაზუსტება.
25	ინციდენტების მართვის პროცედურა **EPG RU2023020**	პროცედურა მიუთითებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერზე, როგორც პროცედურის „მფლობელს“ (ასევე ითვალისიწნებს ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტსაც). იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს ეპ ჯორჯიას, ბუნდოვანია განცალკევებულობის საკითხი	საერთო მომსახურება	ბუნდოვანია საერთო მომსახურებების ხელშეკრულებით განზაზღვრული ჰოლდინგის სტრუქტურული ერთეულებზე/თანამშრომლებზეა საუბარი აღნიშნულ დოკუმენტში, თუ თვით ეპ ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულებზე/ თანამშრომელზეა. სავარაუდოდ დარღვევაა განცალკევების მოთხოვნის კუთხით.	რეკომენდირებულია ხარვეზის აღმოფხვრა და დაზუსტება.
26	ქსელური ეკრანის მართვა **EPG RU2023021**	პროცედურა მიუთითებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერზე, როგორც პროცედურის „მფლობელს“. იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს ეპ ჯორჯიას, ბუნდოვანია განცალკევებულობის საკითხი.	საერთო მომსახურება	ბუნდოვანია საერთო მომსახურებების ხელშეკრულებით განზაზღვრული ჰოლდინგის სტრუქტურული ერთეულებზე/თანამშრომლებზეა საუბარი აღნიშნულ დოკუმენტში, თუ თვით ეპ ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულებზე/ თანამშრომელზეა. სავარაუდოდ დარღვევაა	რეკომენდირებულია ხარვეზის აღმოფხვრა და დაზუსტება.

				განცალკევების მოთხოვნის კუთხით.	
27	სარეზერვო ასლების მართვის წესი **EPG RU2023022**	პროცედურა მიუთითებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერზე, როგორც პროცედურის „მფლობელს“ (ასევე ითვალისიწნებს ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტს და „ტექნიკურ პერსონალსაც“). იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს ეპ ჯორჯიას, ბუნდოვანია განცალკევებულობის საკითხი	საერთო მომსახურება	ბუნდოვანია საერთო მომსახურებების ხელშეკრულებით განზაზღვრული ჰოლდინგის სტრუქტურული ერთეულებზე/თანამშრომლებზეა საუბარი აღნიშნულ დოკუმენტში, თუ თვით ეპ ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულებზე/ თანამშრომელზეა. სავარაუდოდ დარღვევაა განცალკევების მოთხოვნის კუთხით.	რეკომენდირებულია ხარვეზის აღმოფხვრა და დაზუსტება.
28	აღურიცხავად მოხმარებული ელენერგიის დარიცხვის და აღრიცხული ელენერგიის რაოდენობის კორექტირების წესი **EPG RU2023004**	წესი ითვალისწინებს ისეთ პოზიციას, როგორიცაა „რეგიონული ბილინგის მენეჯერი“. იმის გათვალისწინებით, რომ ბილინგის მომსახურებას ჰოლდინგი უწევს ეპ ჯორჯიას, ბუნდოვანია განცალკევებულობის საკითხი.	საერთო მომსახურება	ბუნდოვანია საერთო მომსახურებების ხელშეკრულებით განზაზღვრული ჰოლდინგის სტრუქტურული ერთეულებზე/თანამშრომლებზეა საუბარი აღნიშნულ დოკუმენტში, თუ თვით ეპ ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულებზე/ თანამშრომელზეა. სავარაუდოდ დარღვევაა განცალკევების მოთხოვნის კუთხით.	რეკომენდირებულია ხარვეზის აღმოფხვრა და დაზუსტება.
29	ტექნიკური უსაფრთხოების პოლიტიკა **EPG P2023001**	პოლიტიკა ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის პოზიციას როგორც პოლიტიკის „მფლობელს“ (პოლიტიკა ასევე უთითებს „ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურზეც). იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს ეპ ჯორჯიას, ბუნდოვანია განცალკევებულობის საკითხი	საერთო მომსახურება	ბუნდოვანია საერთო მომსახურებების ხელშეკრულებით განზაზღვრული ჰოლდინგის სტრუქტურული ერთეულებზე/თანამშრომლებზეა საუბარი აღნიშნულ დოკუმენტში, თუ თვით ეპ ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულებზე/ თანამშრომელზეა. სავარაუდოდ დარღვევაა განცალკევების მოთხოვნის კუთხით.	რეკომენდირებულია ხარვეზის აღმოფხვრა და დაზუსტება.

30	მავნე კოდისაგან დაცვის პოლიტიკა **EPG P2023002**	პოლიტიკა ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის პოზიციას როგორც პოლიტიკის „მფლობელს“ (პოლიტიკა ასევე უთითებს „ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურზე“ და IT დეპარტამენტზე). იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ ჰოლდინგი უწევს ეპ ჯორჯიას, ბუნდოვანია განცალკევებულობის საკითხი	საერთო მომსახურება	ბუნდოვანია საერთო მომსახურებების ხელშეკრულებით განზაზღვრული ჰოლდინგის სტრუქტურული ერთეულებზე/თანამშრომლებზეა საუბარი აღნიშნულ დოკუმენტში, თუ თვით ეპ ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულებზე/ თანამშრომელზეა. სავარაუდოდ დარღვევაა განცალკევების მოთხოვნის კუთხით.	რეკომენდირებულია ხარვეზის აღმოფხვრა და დაზუსტება.
31	ფიზიკური უსაფრთხოების მართის პოლიტიკა **EPG P2023004**	პოლიტიკა ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის პოზიციას როგორც პოლიტიკის „მფლობელს“ (ასევე გათვალისწინებულია უსაფრთხოების სამსახური და ინფორმაციის დამუშავების ცენტრი/ცენტრის მენეჯერი). იმის გათვალისწინებით, რომ „მომსახურებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში“ და ასევე უსაფრთხოების მომსახურებას, ჰოლდინგი უწევს ეპ ჯორჯიას, ბუნდოვანია განცალკევებულობის საკითხი.	საერთო მომსახურება	ბუნდოვანია საერთო მომსახურებების ხელშეკრულებით განზაზღვრული ჰოლდინგის სტრუქტურული ერთეულებზე/თანამშრომლებზეა საუბარი აღნიშნულ დოკუმენტში, თუ თვით ეპ ჯორჯიას სტრუქტურული ერთეულებზე/ თანამშრომელზეა. სავარაუდოდ დარღვევაა განცალკევების მოთხოვნის კუთხით.	რეკომენდირებულია ხარვეზის აღმოფხვრა და დაზუსტება.

3 2	სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ მართვის ინტეგრირებული სისტემის სახელმძღვანელო (ხარისხის მართვა - ISO 9001:2015; შრომის უსაფრთხოების მართვა ISO 45001:2018; გარემოს დაცვის მართვა - ISO 14001:2015 (ჰოლდინგის სახელმძღვანელო)/შეს აბამისობის პროგრამა/სხვა მმართველობითი დოკუმენტაცია **EPGH HB2023003**	საერთო მომსახურებების გაწევის კუთხით შეინიშნება ზოგადი ხასიათის პრობლემა - რიგ მმართველობითი ხასიათის დოკუმენტში, ეს იქნება ჰოლდინგის დოკუმენტი თუ თვით ეპ ჯორჯიას დოკუმენტი, არ ჩანს და არ არის იდენტიფიცირებული განცალკევებულობის მოთხოვნების დაცვის რეალური მექანიზმები. ამასთან, სემეკის 2020 წლის 28 დეკემბრის #80/1 გადაწყვეტილება „სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის დამტკიცების შესახებ“, კომპანიას უწესებს გარკვეულ ვადას იმისათვის, რომ შეეძლოს კონკრეტული ტიპის მომსახურების მიღება ჰოლდინგისაგან. ამ გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის მიხედვით, კომპანიას განემარტა, რომ „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს უფლება აქვს, გარდამავალ პერიოდში, 2026 წლის პირველ იანვრამდე, ისარგებლოს ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ან მისი სხვა შემადგენელი ნაწილის მიერ გაწეული იურიდიული, კომისიასთან ურთიერთობისა და ფინანსური სახის მომსახურებით.“	საერთო მომსახურება	არ შეინიშნება არავითარი ინდიკატორი იმისა რომ აღნიშნული მომსახურებების მიღება ჰოლდინგისაგან ატარებს მხოლოდ და მხოლოდ დროებით ხასიათს და გარკვეულ ვადაში ეპ ჯორჯიამ უნდა ყველა ეს მიმართულება მოაქციოს და დაუქვემდებაროს კომპანიის შიდა სტრუქტურულ ერთეულებს.	რეკომენდირებულია გადაიდგას არსებითი ნაბიჯები იმისათვის, რომ კომპანიის მიერ სამომავლოდ გასაფორმებელ საერთო მომსახურბეის ხელშეკრულებებში არ შევიდეს აღნიშნული მომსახურებები.